ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზეთის ფოლთა ქართველ

ი.

ინვ. № 34333
1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

# საქართველოს ისტორიის წყაროები

# 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ЭПИГРАФИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ И ПРИПИСКИ РУКОПИСЕЙ*
*III*

# ТБЕТСКИЙ СИНОДИК

**Текст подготовила к изданию, исследованием и указателями снабдила Т. П. Енукидзе**

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ფ 4228

ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები

III

# ცხეთის სულთა მატიანე

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და
საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ

ა. წულუკიძის სახ.
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
Республиканская библиотека
им. А. Цулукидзе
Аджар АССР

„მეცნიერება“
თბილისი
1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი სარედაქციო კოლეგია:

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედაქტორის მოადგილე).

სერიის რედაქტორი **ზ. ალექსიძე**
ტომის რედაქტორი **ნ. შოშიაშვილი**

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигури (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликишвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштария.

Редактор серии З. Н. АЛЕКСИДЗЕ
Редактор тома Н. Ф. ШОШИАШВИЛИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია:

ზ. ალექსიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, თ. გამყრელიძე, კ. გრიგოლია, ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, რ. კიკნაძე, ქ. ლომთათიძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ე. მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე), მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი, შ. ძიძიგური (თავმჯდომარე), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია.

კომისიის მდივანი მ. ა ბ ა შ ი ძ ე.

## КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ:

З. Н. Алексидзе, А. Г. Барамидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Т. В. Гамкрелидзе, К. Г. Григолия, Н. С. Джанашиа, С. С. Джикия, Ш. В. Дзидзигури (председатель), И. С. Долидзе, М. К. Думбадзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе, К. В. Ломтатидзе, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили (зам. председателя), Е. П. Метревели (зам. председателя), А. Н. Сургуладзе, М. А. Шанидзе, Н. Ф. Шошиашвили, Э. В. Хоштария.

Секретарь комиссии М. Д. А б а ш и д з е.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 Г
091 (47.922) + 499.962.1—7
ტ 422

ნაშრომში პირველად ქვეყნდება „ტბეთის სულთა მატიანის“ XII—XVII სს. ტექსტი. ძეგლში შემონახულია 588 მოსახსენებელი, რომლებიც შეიცავენ მდიდარ მასალას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა, საგვარეულოთა ისტორიისა და ანთრონომასტიკონის შესასწავლად.

В труде впервые публикуется текст «Тбетского синодика» XII—XVII вв. В памятнике сохранилось 588 поминальных записей, которые содержат богатый материал для исследования исторической географии, истории отдельных фамилий и антрономастики Юго-Западной Грузии.

ე 70202 / M 607 (06)—77 118—77

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამამულო ომში დაღუპული ჩემი ძმების—
აკაკი და ჰეტრე ენუქიძეების—
სხოვნას ვუძღვნი ამ წიგნს.

# I. ძეგლის მოპოვება და მისი შესწავლის ისტორია

ძეგლის მოპოვებისა და მისი რაობის შესახებ პირველ ცნობას სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომში. ამ ცნობის მიხედვით ძეგლს, სხვა სამ ისტორიულ საბუთთან ერთად, შავშეთის ტბეთში მიაკვლია გიორგი უაზბეგმა 1874 წელს[1]. უაზბეგისაგან ხელნაწერი მიუღია დიმიტრი ბაქრაძეს, რომელსაც, როგორც ჩანს, გადაუცია მარი ბროსესათვის. სააზიო მუზეუმში ხელნაწერი, ალბათ, მოხვდა მ. ბროსეს კოლექციიდან 1884 წელს[2]. დიმიტრი ბაქრაძესვე აქვს მოცემული ხელნაწერის პირველი აღწერილობა: „Длинный свиток, сшитый из нескольких пергаментных кусков, имеющий 6 аршин длины и с обеих сторон исписанный преимущественно церковным письмом различного почерка. Оно заключает в себе перечень множества фамилий, делающих приношения в память о себе и об усопших и живых своих родственниках. Это так называемый в Грузии агапи (поминки)... В нашем свитке Тбети не поименован и не известно, к какой эпохе он относится. Фамилии его группируются по местностям, из которых я разобрал только шесть: Зед-ваке, Чикунети, Чхутунели, абхазети, Евфрати и Хертвиси... Ни в одной группе нет исторических имен, но в разных группах есть такие фамилии, из которых одни встречаются лишь в прошлые времена, а другие существуют и поныне. Таковы: Ахсартанишвили, Кобулидзе, Камкидзе, Хуцисдзе, Кахаберидзе, Варданели, Джавахидзе, Сумбатишвили, Гогоберидзе, Мортуладзе, и пр.“[3].

დ. ბაქრაძის შემდეგ ამ ხელნაწერს შეეხო პ. ინგოროყვა. ბაგრატიონთა გვარის ონომასტიკონის განხილვასთან დაკავშირებით, მკვლევარი აღნიშნავს: „გვარის დაბოლოება „თი“ ძველად განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული მესხეთში, კერძოდ, ჭოროხის ხეობაში, შავშეთ-კლარჯეთში. ჩვენამდე მოღწეულია საშუალო საუკუნეებიდან ძეგლი, სულთა მატიანე მიჭიხიანის ხევისა, რომლის ძირითადი ტექსტი მე-14—15 საუკუნეებს ეკუთვნის. ამ ძეგლში, რომელშიც აღწერილია სოფლობრივ მოსახლეობა ჭოროხის ხეობის მიჭიხიანის (მაჭახელის) თემისა, რომელიც შავშეთის ფარგლებში შედიოდა, ადგილობრივი მოსახლეობის გვარები წარმოდგენილია ამ დაბოლოებით: „თი“[4].

---

[1] Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878, с. 197.

[2] С. С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии, М., 1967, с. 352.

[3] Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

[4] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1961 წელს ი. სიხარულიძემ დაბეჭდა წერილი ჩვენი ძეგლის შესახებ. წერილის ავტორი ჩამოთვლის ძეგლში მოხსენიებულ გვარებს და პირთა სახელებს და აჯგუფებს მათ მაწარმოებელი ფორმანტის მიხედვით. აგრეთვე, ცდილობს ძეგლში აღნიშნული გეოგრაფიული სახელების ლოკალიზაციას[5].

ხელნაწერის აღწერილობა 1967 წელს გამოაქვეყნა საურმაგ კაკაბაძემ[6].

ძეგლი გამოიყენეს, აგრეთვე, ნოდარ კახიძემ 1974 წელს გამოქვეყნებულ თავისი ნაშრომის „მაჭახლის ხეობა“ ერთერთ თავში: „მაჭახლის ხეობის ისტორიულ ეთნოგრაფიული წარსული“ და შალვა ვარშანიძემ[7].

---

[5] ი. სიხარულიძე, მაჭახლის სულთა მატიანის ონომასტიკონისა და ტოპონიმიკისათვის, აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. V, ბათუმი, 1961, გვ. 123—131.

[6] С. С. Какабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 351, 352.

[7] ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974 და შ. ვარშანიძე, ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, 1974 წ.

## II. ხელნაწერის აღწერილობა

ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული „სულთა მატიანის“ ხელნაწერი ამჟამად დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში შიფრით: P—10 (P—13)[8]. ხელნაწერი დედანია, უთარიღო, წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ეტრატის 18 კეფისაგან შემდგარ გრაგნილს. გრაგნილის საერთო ზომაა: 476 სმ × 16,5 — 19,5 სმ.; ცალკეული კეფების I კეფი — 21,7 × 19,4; II 18,5 × 19,5; III 32,7 × 19; IV 3,3 × 19; V 8,6 × 19; VI 12,5 × 17; VII 7 × 17; VIII 21 × 17,8; IX 14 × 17,5; X 8,3 × 16; XI 11 × 16,5; XII 38 × 19; XIII 55 × 17; XIV 53,5 × 19; XV 48 × 17,5; XVI 24 × 19; XVII 53 × 19; XVIII 47 × 19. კეფების ნაწილი ერთმანეთზე გადაკერებულია წითელი აბრეშუმის ძაფით (I—II, VIII—IX—X, XVI—XVII—XVIII კეფები), ნაწილი — თეთრი (V—VI—VII; XII—XIII—XIV—XV—XVI კეფები), ცისფერი (III—IV—V კეფები) და ყავისფერი ძაფით (VII—VIII, X—XI). II კეფი III-სთან ოდნავ მიმაგრებულია თეთრი აბრეშუმის ძაფით, XV კეფის ნახევარი XVI-თან მიკერებულია თეთრი, ხოლო მეორე ნახევარი — წითელი აბრეშუმის ძაფით.

დამწერლობა ნუსხა-ხუცურია (გვხვდება მთავრული ასოებიც), შესრულებულია მოყავისფრო, შავი, ხოლო ზოგ ადგილზე ლურჯი მელნით; მთავრული ასოები და ზოგიერთი სტრიქონი შესრულებულია სინგურით.

ძეგლი ნაკლულია, კეფები დაზიანებული, განსაკუთრებით მარცხენა კიდეები; ზოგ ადგილზე ეტრატი გახვრეტილია, I და II კეფების ეტრატი გახევებულია და ოდნავი შეხებითაც კი იფშვნება. III და XII კეფების ქვედა ქრონოლოგიური ფენა თითქმის გადარეცხილია; ასევე ძლიერ დაზიანებულია (ნაწერი გადარეცხილი, ეტრატი დაჭმუჭნილი) XIV კეფი (როგორც r, ისე v) და XV კეფის დასაწყისი ნაწილი, X და XIV კეფები დაზიანებული და გადახეულია (როგორც ჩანს, XIV კეფის გადახეული და ახლად გადაკერებული ნაწილები საურმაგ კაკაბაძემ 2 კეფად ჩათვალა და, ამის გამო, გრაგნილი 19 კეფისაგან შემდგარად მიიჩნია)[9].

ხელნაწერის I, II, VI და IX კეფების r—v, V კეფის v და XIII კეფის r—პალიმფსესტებია.

---

[8] ი. სიხარულიძის ზემოდასახელებულ წერილში შიფრი (Ḥ 1710) შეცდომითაა მითითებული.

[9] С. С. Какабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 351.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III. ძეგლის სათაური

ამ წიგნში განხილულ ხელნაწერის ტექსტს სათაური, რომელშიც ასახული იქნებოდა მისი რაობა, არა აქვს. ძეგლის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი „სულთა მატიანეა“, ე. ი. გარკვეული პერიოდის სიგრძეზე დაწერილი მოსახსენებლების ერთად თავმოყრილი ნუსხა. ასეთი მატიანეები შუა საუკუნეებში ჰქონდა ყველა მნიშვნელოვან ეკლესიას თუ მონასტერს[10]. შემწირველები სხვადასხვა ფორმის შეწირულებით მატერიალურად უზრუნველყოფდნენ ეკლესია-მონასტრებს და ამავე დროს ზრუნავდნენ როგორც საკუთარი, ისე თავიანთი მახლობლების სულის მეოხებაზე, აღაპებისა თუ მოსახსენებლების განწესებით. ასეთ მოსახსენებელთა კრებული — „სულთა მატიანეა“ ჩვენი ხელნაწერი. „სულთა მატიანეები“ ბევრი იყო, ამიტომ საჭიროა დაკონკრეტდეს, თუ რომელი „სულთა მატიანეა“ იგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენი ძეგლი ცნობილია სათაურებით: „სულთა მატიანე მიჭიხიანის ხევისა“[11], „მაჭახელის სულთა მატიანე“ ან „მაჭახლის ხეობის სულთა მატიანე“[12] და „Синодики из ущелья Мачахели“[13]. ამრიგად, წარმოდგენილ „სულთა მატიანეს“ მკვლევართა მიერ მიკუთვნებული აქვს ძველ ქართულ ისტორიულ თემში — შავშეთში შემავალი ერთ-ერთი ხევის (ე. ი. ადმინისტრაციული ერთეულის) — მიჭიხიანის, ან მისი დღევანდელი შესატყვისის — მაჭახლის სახელი. ასეთი სათაური მომდინარეობს პავლე ინგოროყვასაგან, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ძეგლში „აღწერილია სოფლობრივ მოსახლეობა ჭოროხის ხეობის მიჭიხიანის (მაჭახლის) თემისა, რომელიც შავშეთის ფარგლებში შედიოდა“[14].

ასეთი სათაურის შერჩევა „სულთა მატიანის“ ამ ხელნაწერისათვის არ მიგვაჩნია მართებულად ორი გარემოების გამო: 1. არსაიდან არ ჩანს, რომ ძეგლში მოცემულია მაინცდამაინც მხოლოდ მიჭიხიანის ხევის მცხოვრებთა მოსახსენებლები, როგორც ამას პ. ინგოროყვა ფიქრობს. ასე, ხევების მიხედვით, სულთა მატიანეები არ დგებოდა, ამასთან სიტყვა „აღწერილია“ შეუფერებელია „სულთა მატიანესათვის“. ეს ხომ არ არის აღწერის დავთარი!.

„სულთა მატიანე“-ში შედიოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამა თუ იმ მონასტრის, ან ეკლესიის შემწირველთა მოსახსენებლები. ეს შემწირველები კი შეიძლება ყოფილიყვნენ სხვადასხვა კუთხიდან, ძირითადად ამ ეკლესიის სამრევლოდან და მონასტრის პატრონის საფეოდალოდან, ხოლო თუ ეს ეკ-

---

10 ამ საკითხზე იხ. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 9—10.

11 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

12 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

13 С. С. К а к а б а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 351.

14 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესია ან მონასტერი დიდად სახელგანთქმული იყო, ან უცხოეთში მდებარეობდა, მას სწირავდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან. ამ შემთხვევაში ჩვენ ძეგლში შესულია სხვადასხვა გვარები ძირითადად, ალბათ, შავშეთიდან — ტბელის მთელი ეპარქიიდან. 2. სამეცნიერო ლიტერატურაში, სავსებით მართებულად, დამკვიდრებულია ტრადიცია, რომლის მიხედვით „სულთა მატიანეებს“ ეძლევათ იმ ეკლესიის, ან მონასტრის სახელი, სადაც შედგა ეს მატიანე მაგალითად: „გერგეტის სულთა მატიანე“, შედგენილი გერგეტის სამების ეკლესიაში, „ნიკორწმინდის სულთა მატიანე“, შედგენილი ნიკორწმინდის მონასტერში, „სინის მთის ქართველთა მონასტრის სულთა მატიანე“ და სხვა.

ჩვენი ძეგლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაპოვნია ტბეთის ეკლესიაში, ე. ი. შავშეთის საეპარქიო საყდარში. ტბეთის ეპარქიაში შედიოდა სწორედ მიჭიხიანის ხევი, რომლის სოფლები და მცხოვრებლები მოხსენიებულია ჩვენს ძეგლში. ზემოთქმულის შესახებ ცნობას გვაწვდის XVI საუკუნეში შედგენილი სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამწყსოს სია, რომელშიც ვკითხულობთ: შავშეთი მიჭიხიანით მტბევარის სამწყსოა[15].

ამრიგად, ჩვენს საკვლევ ძეგლს, მისი შედგენის ადგილის მიხედვით უნდა ეწოდოს „ტბეთის სულითა მატიანე“[16].

---

15 Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

16 ასეთი სახელწოდების შესაძლებლობა დაუშვა ი. სიხარულიძემაც თავის ზემოდასახელებულ წერილში (გვ. 124). ჩვენი აზრით, ასეთი სახელწოდება არა თუ დასაშვებია, არამედ ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV. ხელნაწერის ქრონოლოგიური ფენები და ტაბულები

ძეგლს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარიღი არ უზის. იგი უნდა დათარიღდეს პალეოგრაფიული ნიშნების, ძირითადად, ხელის მიხედვით. „ტბეთის სულთა მატიანე“ დაწერილია XII—XVII სს. ნუსხური ხელით. ამდენად, ძეგლი შედგება სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენისაგან, ხოლო ერთი და იმავე ეპოქის ქრონოლოგიური ფენა შეიძლება კიდევ შიგნით დაიყოს სხვადასხვა ხელით შესრულებულ ნაწილებად.

ძეგლის თარიღზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება: პ. ინგოროყვას აზრით, ძეგლის „ძირითადი ტექსტი მე-14—15 საუკუნეებს ეკუთვნის“[17]. საურმაგ კაკაბაძე ძეგლში გამოყოფს სამ ქრონოლოგიურ ფენას: ძირითადი ფენა, მისი აზრით, შედგენილია 1100 წლის ახლოს, მას მოსდევს XII—XIII სს. ფენა, ხოლო XIV კეფი და ზოგიერთი სხვა მოსახსენებელი პალეოგრაფიულად თარიღდება XV საუკუნით[18].

ძეგლის დათარიღება პალეოგრაფიული ნიშნების, ძირითადად, ხელის მიხედვით, მიახლოებითი და რამდენადმე პირობითიცაა. ეს განსაკუთრებით ითქმის ძირითადი ფენის შემდგომ მინაწერებზე, რადგან ისინი შესრულებულია შედარებით არაგანსწავლული მწიგნობრების მიერ, რის გამოც შესადარებელი ისეთი მასალის მოძიება, რომელზე დაყრდნობითაც უფრო ზუსტი და მტკიცე დათარიღება შეიძლებოდეს, ჭირს. ჩვენი აზრით, ძირითადი ფენა შედგენილია არა უგვიანეს XII—XIII საუკუნეებისა. შემდეგში ძეგლს — XIII—XVII საუკუნეებში დამატებია სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენები. კეფების ამჟამად არსებული თანამიმდევრობა არ არის თავდაპირველი. იგი დარღვეულია: როგორც ჩანს, კეფები გვიან, მექანიკურად გადაუკერებია ძეგლის ქრონოლოგიაში გაურკვეველ პირს. ჩვენი დაკვირვებით, ხელნაწერის კეფების თანამიმდევრობა და ქრონოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. ტექსტის ძირითადი ფენა დაწერილია ერთი ხელით, არა უგვიანეს XII—XIII საუკუნისა (ხელის მიხედვით). აქ შედის კეფები შემდეგი თანამიმდევრობით: III, XII კეფების recto; XIV, XV, XVI კეფების recto—verso და XVII, XVIII კეფების recto.

2. XIII—XVII საუკუნეებში დაწერილი და გვიან გადაკერებული კეფების თანამიმდევრობა: I, II (ეს ორი კეფი თავიდანვე გადაკერებული ყოფილა ერთმანეთზე), IV, V, VI, VII, VIII, IX, X და XI კეფები ცალცალკე ჩანს შევსებული.

„ტბეთის სულთა მატიანის“ მთელი ტექსტი დავყავით ქრონოლოგიურ ტაბულებად, ხოლო მათ შიგნით მოქცეული მასალა შევეცადეთ დაგვეჯგუფებინა ხელის მიხედვით და გამოგვეყო ქვეტაბულები.

---

17 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

18 С. С. Какабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 351.

I ტაბულაში შევიდა ძირითადი ფენა, დაწერილი XII—XIII საუკუნების მწიგნობრული ნუსხური ხელით[19]. III და XII კეფების recto მეტად გადარეცხილია და ძლივს ხერხდება ძირითადი ნაწილიდან რამდენიმე მოსახსენებლის ამოკითხვა. 38, 46, 119, 124, 181 და 186 მოსახსენებლები დაწერილია სინგურით. III, XII, XIV—XVI კეფების r-ზე მოთავსებულ სულთა მოსახსენებლებში, თითო მოსახსენებლის გამოტოვებით, დასაწყისი სიტყვის — ს უ ლ თ ა-ს პირველი ასო ს-ანი დაწერილია მთავრულად სინგურით. ერთ-ერთ მოსახსენებელში (214) სიტყვის „თევთისძესა“ დასაწყისი ასო თ-ანი მხატვრულად არის დაწერილი სინგურით მთავრულად.

XVII—XVIII კეფების r-სა და XIV—XVI კეფების v-ზე მოთავსებულ მოსახსენებლებში, იმ ადგილას, სადაც რიგის მიხედვით სინგურით დაწერილი **ს**-ანი უნდა ყოფილიყო, ხელნაწერის სინგურით შემამკობელს რაღაც მიზეზით ვეღარ დაუმთავრებია მათი ჩაწერა და ყველგან **„სლსა“**-ს ნაცვლად წერია **„ლსა“**.

ძირითად ფენაში თითოეული სულთა მოსახსენებელი იწყება ახალი სტრიქონით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამი წერტილი (∴), ყოველი სულთა მოსახსენებლის ბოლოს. ქარაგმის ნიშნად ნახმარია მოკლე, განივი კლაკნილი ხაზი.

II ტაბულაში შეტანილია მოსახსენებლები, დაწერილი XIII საუკუნის მსხვილი ნუსხურით, მომწვანო საღებავით. განსაკუთრებით დამახასიათებელი მხოლოდ ამ ტაბულის მოსახსენებლებისათვის ჩანს გრაფემა **მ**-ანი, რომლის ზემო ნაწილი, მაღლა აწეული თავით, ძლიერაა გადაქანებული მარცხნივ. ახასიათებს ზედმეტქარაგმიანობა. ამ ხელით შესრულებულ ტექსტებში ყოველი სტრიქონის დასაწყისი გრაფემა მთავრულია.

III ტაბულაში შეტანილია მოსახსენებლები, დაწერილი XIV საუკუნის ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, ტექსტის დასასრულს კი — სამწერტილი. ქარაგმის ნიშნად — მოკლე განივი კლაკნილი ხაზი.

IV ტაბულაში შეტანილია მოსახსენებლები, დაწერილი XIV—XV საუკუნის მომრგვალებული, ადვილად გამოსარჩევი ნუსხურით, მოლურჯო საღებავით. მეტად თავისებურია გრაფემა **ი**-ნი. განკვეთილობის ნიშანი არ უზის. ქარაგმის ნიშნად ნახმარია საშუალო სიდიდის სწორი განივი ხაზი.

ქვეტაბულა IV[ა]-ში შევიტანეთ ამავე პერიოდის, მაგრამ ხელით ცოტაოდენად განსხვავებული, მოსახსენებელთა ტექსტები. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ორწერტილი. ქარაგმის ნიშნად იშვიათად ნახმარია განივი კლაკნილი ხაზი.

IV[ბ] ქვეტაბულაში შეტანილია მოსახსენებლები, დაწერილი XIV—XV სს. მკვეთრად კუთხოვანი ნუსხურით. განკვეთილობის ნიშანი არ უზის. ქარაგმის ნიშნად მეტად იშვიათად ნახმარია ძლიერ კლაკნილი განივი ხაზი. ტექსტი **ი**-მეტიანია.

IV[ბ] ქვეტაბულის ტექსტებში შეიმჩნევა **ა**-მეტობა. განკვეთილობის ნიშანი არ არის ნახმარი. ქარაგმის ნიშნად ძალიან იშვიათად ნახმარია ოდნავ კლაკნილი განივი ხაზი. ამ ტაბულის დამწერლობისათვის დამახასიათებელია ზოგიერ-

---

19 უნდა ვიფიქროთ, რომ მატიანის ტექსტის ძირითადი ფენა წარმოადგენს XII—XIII საუკუნეებში ერთი ხელით, ერთ კრებულად (მატიანედ) გადაწერილ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელით შედგენილი მოსახსენებლების პირს.

თი გრაფემის მეტად განსხვავებული მოყვანილობა. მაგ. ჭ — ტოლმკლავიანი ჯვარისებურია. გ-ს ფეხი ძლიერ მოკაუჭებულია და თავისებური. ტ, ც და ხ-ს მარცხენა შვეული ხაზი და ქვედა განივი ხაზი მარცხნივ გაზიდულია და ქმნიან მახვილ კუთხეებს.

IV$^{ბ}$ და IV$^{გ}$ ქვეტაბულებში გვხვდება აბსოლუტურად იდენტური მოსახსენებლები. ასეთებია: „ლაკუაშისძე კოზმან და მისი მეუღლე ნათელი“ (78, 86), „გუჯარისძე თევდორე“ (71, 87) და იაკობასძე (85, 518).

IV$^{დ}$ ქვეტაბულაში შეტანილ ტექსტებში განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმის ნიშნად იშვიათად ნახმარია განივი ხაზი, რომლის მარცხენა ბოლო ზევითაა აწეული. ახასიათებს ა-ი ხმოვნების ნაკლულობა. გრაფემა ძ-ილი დაწერილია მეტად თავისებური, მხოლოდ ამ მოსახსენებლებისათვის დამახასიათებელი მოხაზულობით.

V ტაბულაში შეტანილია მოსახსენებლები დაწერილი XV საუკუნის ხელით. განსაკუთრებით დამახასიათებელია საზედაო გრაფემა ს-ანი, ბუნის თავზე განივი პატარა ქუდით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ადგილ-ადგილ ერთი, ორი ან სამი წერტილი. XIII კეფის r-ზე მოთავსებული მოსახსენებლები ნაჩქარევად, ერთი ხელით ჩაწერილად ჩანს. ამაზე მიუთითებს მიქელ ღურჯასძის სამჯერ (136, 142 და 148) და მახარებელი ბალასძის ორჯერ (130 და 147) ჩაწერილი და შემდეგ გადახაზული მოსახსენებლები.

V$^{ა}$ ქვეტაბულაში შეტანილ მოსახსენებელთა ტექსტებში უ-ნის და ვ-ინის მაგივრად ზოგჯერ ნახმარია ჳ-ე. ასე მაგ.: „შაჳსყჳრის ძისა... შეჳნდვნე“ (95), „შაჳ<ა>სყურიძე“ (43), „მეჳღლსა“ (97).

V$^{ბ}$ ქვეტაბულაში შეტანილია სულთა მოსახსენებლები I და II კეფის r—v-დან. განკვეთილობის ნიშნად იშვიათად ნახმარია ორი წერტილი, სულ რამდენჯერმე — სამი წერტილი. ქარაგმის ნიშნად ნახმარია ლამაზი, ოდნავ კლაკნილი, განივი ხაზი. აქ რამდენიმე ხელი ცვლის ერთმანეთს, მაგრამ ყველა ისინი XV ს. უნდა იყოს.

ქრონოლოგიურად ამავე პერიოდის არის V$^{გ}$ ქვეტაბულაში მოთავსებული მოსახსენებლებიც, დაწერილი მწიგნობრული წვრილი ნუსხურით. განკვეთილობის ნიშანი არ უზის. ქარაგმის ნიშნად ნახმარია ძალიან მოკლე განივი ხაზი. ტექსტი ი-მეტიანია.

VI ტაბულაში შეტანილია მოსახსენებლები, დაწერილი XV—XVI სს. მსხვილი ნუსხურით. თითოეული მოსახსენებლის პირველი სიტყვა „სლს“ დაწერილია ლიგატურით. აქ ლ-ს თავი ჰკვეთს ს-ს ზემო ნაწილს და ეს გადამკვეთი ხაზი ქარაგმად არის გამოყენებული. განკვეთილობის ნიშნად თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ქარაგმის ნიშნად ნახმარია სხვადასხვა სიდიდის, განივი, კლაკნილი ხაზი. ტექსტი ა-მეტიანია. მასში ზოგჯერ ი-ს მაგივრად ნახმარია ჲ.

VI$^{ა}$ ქვეტაბულის ტექსტი დაწერილია XV—XVI სს. მსხვილი ნუსხურით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ამ ხელით ნაწერ ტექსტს ახასიათებს ქარაგმადაკლებულობა. ტექსტი ა-მეტიანია. ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია ოდნავ კლაკნილი განივი მოკლე ხაზი. ყველა ზემოჩამოთვლილი დამახასიათებელი ნიშანი აქვს VI$^{ბ}$ ტაბულას, ოღონდ დაწერილია განსხვავებული ხელით.

VII ტაბულაში შეტანილია მოსახსენებლები, დაწერილი XVI ს. ხელით. ახასიათებს ქარაგმადაკლებულობა. ტექსტში რამდენჯერმე, უ-ნის ნაცვლად, ნახმარია ო-ნი. ხშირად გვხვდება ი- ხმოვანდაკლებული სიტყვები. განკვეთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ჭარაგმის ნიშნად იშვიათად ნახმარია სწორი, განივი ხაზი.

ქრონოლოგიურად აქვე მოხვდა VII[ა] და VII[ბ] ტაბულების მოსახსენებლები. დამახასიათებელია, რომ თითქმის მთელ ტექსტში (გარდა ერთი შემთხვევისა) ყველგან უ-ნის ნაცვლად ნახმარია ო-ნი. ხშირია ასოთა და ჭარაგმათა დაკლებულობა. სიტყვათა განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მოსახსენებლებში განკვეთილობის ნიშანი ტექსტის წერის თანადროულად კი არ არის დასმული, არამედ მისი მთლიანი დამთავრების შემდეგ. ეს ფაქტი აქ წარმოდგენილ სხვა მოსახსენებლებშიც შეიმჩნევა, მაგრამ აქ ბევრად უფრო ნათლად ჩანს იგი. ჭარაგმის ნიშნად იშვიათად ნახმარია სწორი, განივი ხაზი.

მატიანეში შეტანილ მოსახსენებელთა ნაწილს, ხელის მიხედვით, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, არ დაეძებნა ანალოგიები. ისინი შესრულებულია ერთმანეთისაგან განსხვავებული ხელით. ამასთან, ამ მოსახსენებელთა უმრავლესობაში (გამონაკლისის გარდა) მოხსენიებული გვარები სხვა მოსახსენებლებში აღარ გვხვდება. ასეთი მოსახსენებლები ყველა გავაერთიანეთ ერთ, ნარევ VIII ტაბულაში.

ნარევ ტაბულაში მოსახსენებლები დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. ქრონოლოგიური მონაკვეთის შიგნით კი — ხელის მიხედვით. მათ დაწვრილებით ტექნიკურ აღწერილობას აღარ ვიძლევით.

ტაბულებში მოსახსენებლები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ვიძლევით კეფის რიგით ნომერს, მოსახსენებელი პირის ვინაობას, ხოლო ფრჩხილებში მოსახსენებლების რიგით ნომერს.

## I ტაბულა (XII—XIII სს.)

IIIr ცხორება (30); ზედვაკით შემომწირველნი (32); ნიკოლოზი და მისი მეუღლე ნათელი (35); მგელა და მისი მეუღლე მარიამი (42); ჩიქუნეთით შემომწირველნი (46); კვრიკე, მარიამი და მათი მშობელნი (47); ქუაბელეთ ივანე და მისი მეუღლე მარიამი; ქუაბელი; ხებელი (48).

XIIr რუსუდანი. ქუაბელეთ... იოვანე (102); ბერსელეთ იოვანე და მისი მეუღლე (105); მიქაელი და მისი მეუღლე (107); მიქაელი და მისი მეუღლე სინდაელი (116); მარიამი (117); ჩხუტუნეთით შემომწირველნი (119); კოსტანტისძე ილარიონი და მისი მეუღლე ხუაშაქი (120); როსტომეთ კვრიკე და მისი მეუღლე; იორდანე (122); აფხაზეთათ შემომწირველნი (124); მეფუტკრიეთ ივანე და მისი მეუღლე ხუაშაქი (126); გოგანისძე იოვანე და მიქაელი (127); ოსანასძე გიორგი და მისი მეუღლე ცხორება (128).

XIVr ოვსიეთ მარიამი, სოლომონი და მისი დედა ფოთელური (165); შავჩიტყოთ ნიკოლოზი, ცხორება და მათნი ქალნი (166); სარვას ცოლი თამსი (167); ტისორეთ გიორგი და სიხარული (168); ფარეჯეთ ივანე (169); „სულსა კიბელისძესა კვირიკესასა და მეუღლესა მისისა დუდასა და მისთა მშობელთა შეუნდევნ ღმერთმან. ამა შტოჲსა შენებასა შიგან დიდი ჭირი ნახა“ (170); კეტისძე მიქაელი და მისი მშობელნი (171); კომსისძე ნიკოლოზ მწერალი (173); სეფადინეთ სამნაჲ, მისი დისწული ცინცხალა და მნათე ივანე (174); წკირმონეთ იოვანე და მიქაელი (175); ოილაურელი სეხნია (176); დემნაჲ, დიოფალაჲ და გიორგი (177); წინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წკელასძე გიორგი და ნიკოლოზი (178); საჲლუთ ხუცესი ივანე და მარგალიტი (179); ზებედა (180); ევფრატით შემომწირველნი (181); კვრიკე მოძღვარი, მისი ძმა სულა, მოძღვარი ოქროპირი და მისი ძმა ილარიონი, მიქა და მარიამი (182); არსლან ოქრომჭედელი (183); ქლუტისშვილი ივანე, მარიამი (184); კვრიკაეთ მიქაელი (185) ჯერთვისით შემომწირველნი (186); ახალაური (188); ჯეჯელაეთი (189); მორჩიეთ მიქაელი, გუიანისი (191); მარიამი, გუიანის დედა (192); გოგანეთ ხუცი ნიკოლოზ და მისი მეუღლე მარიამი (193); მიქაელი (195); ჭაკუნთელაეთ თევდორე და მისი მეუღლე (200).

XVr სიკალაეთ იოვანე და მისი მეუღლე მარიამი (203); ნიკოლოზი იაბედაეთი... მარიამი და მისი შვილი იოვანე (204); ფხიკაეთ... ნათელი (205); დოფი (207); გაბრიელი, ნიკოლოზი და მისი მეუღლე მარიამი (209); თავხელეთ მიქაელი, მისი მეუღლე მარიამი და შვილი გიორგი (210); გიორგაეთ კაციოქრო და მისი მეუღლე ხუაშაქი (212); ბასილი მორთულაყი და მისი მეუღლე კიბელი (213); „თევთისძესა, რომე ქალაქს მოკუდა, გიორგის შეუნდევენ ღმერთმან“ (214); ვარდანეთ სასნა და მისი მეუღლე მარიამი (215); ჩუფაჯისაყი ცივნარის ჯალაბა (216); ეგნატეთ იოვანე, მეტეხელისშვილი, არსლანისშვილი ბიბილა, მურუყა და მისი მეუღლე (217); ბაგრატასძე ივანე და მისი მშობლები (218); კირკიტისძე იოვანე და მისი მეუღლე მარიამი (219); ჯადენისძე ყურსალა, გურუნდისძე იოვანე და მათი მშობლები (220); სამოელეთ გიორგი და მისი მეუღლე ნათელი; ივანე სკინეჯეთი (221); გიორგი და რომანოზი (222); თევდორე გუნდარეთი, ცხორება, გიორგი, მარიამი და ივანე ხუცი (223); გუჲანი, მარიამი, ივანე, შუშანა, ახალა, გუიანი (224); ჭუნთელეთ ლომაჲ, ტბელისძე ივანე და მისი მეუღლე საჲდანი; ბიბილა და მარიამი (225); კუთხაეთ სეხნა, მარიამი, ცხორება, ინასა, იოვანე ლამოძაეთი (226).

XVIr სანადირი, მარიამი, წიქარი, ცუარი, უ¯გმფიეთ გიორგი და მარიამი (231); სიკალაეთ დავითი, ჯარდენეთ მარიამი, ბაილისურეთ იოვანე, კაციოქრო, ცხორება, გიორგი, მარიამი, დუდი, უგმ¯ფიეთ ნადირა, ცხორება და მათი შვილი იოვანე (232); შამიგისძე, გოგლასძე გიორგი, კანჯარასძე გუიანა, ჭუნთელასძე გიორგი, მარიამი, მიქაელი, ცხორება, ივანე ლომთათისძე, მარიამი, რიანუში, მარცუალა, ოქროპირი (234); მიქლაცუარული მარიამი (235); კეჯერეთ ივანე (236); სამოელეთ იოვანე (237); თევდორე ჩოყორეთისა (238); გოგლაეთ აბაში და მისი მეუღლე ცხორება (239); ჰარაბისძე პეტრე (240).

XVIIr სიკალაეთ გიორგი და მისი მეუღლე ცხორება; გლიჯაეთ დემეტრე და მისი მეუღლე ცხორება (242); სიკალაეთ მგელა და მისი მეუღლე ჩრდილაელი (243); ცანდაეთ ზებედა და მისი მეუღლე მარიამი (244); ტბელისძე თევდორე და მისი მეუღლე ხუაშაჲ (245); ცივნარისძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე აბესალამური (246); ქლუტისშვილი მახარებელი და მისი მეუღლე ნათელი (247); გივისშვილი დავით (248); აბესალამისძე ივანე (249); ივანბერასძე მაჲსა (250); ტურიეთ იორდანე (251); პეტრასშვილი იოვანე (252); პილპილასძე დემეტრე (253); ტურიეთ ზაქარია (254); კახაბერისძე იოვანე (255); დემეტრასშვილი იოვანე (256); სკინეჯეთ წიქარაჲ (257); ბალასძე არსლანი (258); ბალასძე გიორგი და მისი ძმა მიქაელი (259); ტომარაეთ გიორგი და მისი მეუღლე მარიამი (260); ჭუემოთა გორგასძიეთ მიქაელი და მისი დედა მწიძურელი (261); გორგასძიეთ ივა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნე და მისი მეუღლე ქუაბელური ხათელი (262); ეგნატეთ იოვანე და ინასა (263); ოსანასძე ივანე (264); სიმურტანეთ ნებიერი და მისი მეუღლე გიორგაული (265); კვრიკაეთ იოვანე და მისი მეუღლე თევთიური (266); იობისძე მიქაელი (267); ღაღანისძე გიორგი (268); წანგრისშვილი იოვანე (269); მორჩიეთ ბასილი და მისი მეუღლე მარიამი (270); ზარქიეთ მგელაძ (271); გათენიეთ გიორგი და მისი მეუღლე ნათელი (272); ჭანისძე ცქირია და მისი მეუღლე მარიამი (273); თათარასძე ნიკოლოზ (274); ხანისძე იოვანე (275).

XVIIIr ჯიგანასძე მარცუალისი, მშუჯდასძე მშუიდა (277); თომა მეფუტკრისძე (278); ვარდანეთ ვარდანი (279); ჩავლაეთ მჭედელი იოვანე და მისი მეუღლე თამარი (280); მეფუტკრეთ ნიკოლოზ და მისი მეუღლე მარიამი (281); ჯეჯელისძე იოვანე და მისი მეუღლე ნათელი (282); მოლაზონეთ გრიგოლი (283); ძნელასძე დემეტრე და მისი მეუღლე (284); საქუნთელასძე ნიკოლოზ (285); ცანგურაგისძე გიორგი (286); ჯარდენეთ ივანე და მისი მეუღლე ცხორება (287); გიორგასძე იოვანე (288); სამოელისძე იოვანე (289); სისოეთ გაზრდილი იოვანე (290); ტომარაეთ მარიამი (292).

XVIv ფხიკაეთ იოვანე (366); პატარის ქალი გუნდარეთ ბორენა (367); დავითის ვაჟი გიორგი (368); გოგლაეთ გიორგი და მისი მეუღლე მარიამი (369); სირაეთ გიორგი და მისი მეუღლე ოღლაურელი (370); შუბანისძე სტეფანე (371); წითელაეთ გიორგი და მისი მეუღლე მიროელი (372); ჩიგონისძე კუერნა (373); შალვაეთ ბალავარის მეუღლე ცაცა და მისი შვილი დემეტრე (374); ახალასძე ეზადინი და მისი მეუღლე თამარი (375); საბა კაკალეთი (376); ელბეგასძე მიქაელი (377); შალვაეთ ივანე და მისი მეუღლე გუიანური (378).

XVv ჯარდენეთ დემეტრე და მისი მეუღლე ჯოჯაური (381); ფარაჯეთ დემეტრე და მისი მეუღლე მარიამი (382); ჩავლაეთ არსენი და მისი მეუღლე ცხორება (384); დავლასძე (385); ცხადაეთ იოვანე და მისი მეუღლე მარიამი (386); ქერტაში გიორგი, მისი შვილი ივანე და მისი მეუღლე მარიამი (387); დავლასძე ივანე და მისი მეუღლე დოფი (388); კოპლასძე მარცუალისი და მისი მეუღლე მარგალიტი (389); ჯარდენეთ... და მისი შვილი მგელაი (390); გუიანეთ აკრიელი ცხორება (391); მიქლაცუარელი ახალაი; მისი შვილი ახალა ... მეუღლე დუდა (392); დავლაეთი (393); გუჯანეთი (394); ჯარდენეთ ნანა და მისი მეუღლე მარიამი (396); გიორგი წანგარი (398).

XIVv იოვანე (409); სიკალაური (412); ქუნთელეთ ქალი მარიამი (414); მიქელისძე გიორგი (415); გუანცა (416); მარიამი (417).

## II ტაბულა (XIII ს.)

XVIIv პილპილასძე მიქაელი და მისი მეუღლე თამსი (357); პილპილასძე მახარებელი და მისი მეუღლე ნათელი (358); ქუნთელასძე გიორგი და მისი მეუღლე მარიამი (359); გამეშისძე მიქაელი (360); იაკობასძე ზაქარია და მისი მეუღლე ნათელი (361); მალეყმასშვილი იოვანე და მისი მეუღლე ნათელი (362); ვანთაშისძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე ნათელი (363); მორთულასძე დავით და მისი მეუღლე თამსი (364).

XVv მორთულასძე ნიკოლოზ (400); კოპლასძე დავით და მისი მეუღლე (401);



ა. წულუკიძის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა Республиканская библиотека им. А. Цулукидзе Аджар АССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავლაეთ ცხორება (402); კანჯარეთ... (403); გოგალასძე გიორგი და მისი მეუღლე ნათელი (404).

XIVv შებალისძე დემეტრე და მისი მეუღლე მარიამი (435); კორტიზეთ მიქაელი და მისი მეუღლე მაჭარელი, კორტიზეთ სძალი ხათუთა (439); კორტიზეთ პაპა და მისი ძმისწული გიორგი (440); გუნდარეთ გიორგი და მისი მეუღლე გუანცა (441).

XIIv ზარჭისძე იოვანე და მისი მეუღლე ცხორება, მათი შვილები: ბეშქენი და გიორგი (469); ოქოტასშვილი მახარებელი და მისი მეუღლე ჯოჯური, მგზავრი ბასილი (470); ვაშანიძე იორდანე და მისი მეუღლე ნათელი (471); ვაშანეთ ბასილი (472); გუიანისძე თევდორე, მისი მეუღლე თამსი და ძმისწული გიორგი (473); ჯაფარისძე იოვანე და მისი მეუღლე ხი... (474); ერგელისძე იორდანე და კოკოპინი (475); ჯოჭოელი ჭანისძე გრიგოლი და მისი მეუღლე ნათელი (485); გინგილასძე ათანასე და მისი მეუღლე მარიამი (486).

## III ტაბულა (XIV ს.)

IIIr ცანდასძე ქუთნა და მისი მეუღლე რუსუდანი (34); გოგანისძე ზაქარია და მისი მეუღლე ჩხუტუნია (39); ხინკილასძე დემეტრე, მისი მეუღლე მარიამი და შვილი გიორგი (45); ხინკილა (51); ნიკოლაფხეშვილი გოგა (52).

XIIr აბესალამისძე გიორგი და მისი მეუღლე მარიამი (121).

XVIIIv ჯაილაძე იოვანე და მისი მეუღლე მარიამი (310), აბაბისძე იაკობ და მისი მეუღლე მარიამი (311); ფილისურიშვილი გიორგი და მისი მეუღლე მართა (312); ქადაგიძე ივანე, მისი მეუღლე მარიამი და მათი შვილი მამიაი და ძმა (313); საგია (317); შუბანასძე გიორგი (318).

XIIv კუტოშისძე იოვანე და მისი მეუღლე ნათია (487).
რენა (421); ჩიქუტასძე ნიკოლა, მისი მეუღლე მარიამი, შვილი ქავთარ და ქავთარის მეუღლე თამარ (422); ბუჟურასძე ივანე (423); ქუაბულისძე შავთელი (424); ზურაბისძე იოვანე (425); ბზათელი თათასძე გიორგი და მისი ძმა კვრიკე (426).

IIIv ნიკოლაფხეშვილი ცისკარა (536); ნიკოლაფხეშვილი ლაზარე (537).

## IV ტაბულა (XIV—XV სს.)

XIIr ჩამღასძე გრიგოლ (108).

XVIIv შალაისძე გიორგი (343); მიმნობიძე შიში და მისი მეუღლე მარიამი (344); ჭანისძე მახარიში და მისი მეუღლე თინია (345).

XIIv კუტოშისძე იოვანე და მისი მეუღლე ნათია (487).

IIIv ნოონიძე ნიკოლოზ (538).

## IVა ტაბულა (XIV—XV სს.)

Vv ციტაისძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე (530); სანადირასძე ივანე (531); ბუწნელეთ ქალი ნათელი (532).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IVბ ტაბულა (XIV—XV სს.)

IIIr ცივნარისძე ნიკოლოზი და მარიამი (49);

IXr ფიბოტიშვილი ესაია და მისი შვილი მიქაელი (83); ახალასძე ნანა, მისი მეუღლე რუსუდანი. მათი შვილი ლომა, ლომას მეუღლე მარიამი (84); ლაკაშისძე კოზმანი და მისი მეუღლე ნათელი (86); გუჯარისძე თევდორე (87); მოფირასძე ივანე ხუცი და მისი მეუღლე ანა (88).

XVIIr ფიბოტისძე იოვანე და მისი მეუღლე მარიამი (276).

IXv მოფირნასძე კუირიკე და მისი მეუღლე ესნა (506); მახარსიძე გიორგი ხუცი და მისი მეუღლე რუსიდანი (507); გათენეასძე ვაზინა, მეუღლე თამარი და მათი შვილი მარიამი (508).

VIIIv ოქოტაშვილი მიქაელ, მეუღლე რუსუდან. მათი შვილი ივანე და ივანეს მეუღლე ნათია (511); იაკობასძე ზაქარია და მისი შვილი დავითი (518); შამანასძე იოვანე და მისი მეუღლე რუსუდანი (519).

VIIv ...ნათელი (520); მურვანაშვილი მომესწარა და მისი მეუღლე მარიამი (521); გორგასძე ფოცნა და მისი მეუღლე შორენა (522).

## IVგ ტაბულა (XIV—XV სს.)

VIIIr კოსტანტილე (68); გუჯარისძე თევდორე (71); ფხიკისშვილი გიორგი (75); გუიანისძე ივანე და მისი მეუღლე მარიამი (76); როსტომისძე გიორგი (77); ლაკუაშისძე კოზმანი და მისი მეუღლე ნათელი (78); ცივნარისძე პეპია და მისი მეუღლე ნათია (79); გოგაბერუილი მარიამი (80); მაილაშვილი ქურციკა (81); ბერასძე ქუთნა და მისი მეუღლე ნათელი (82).

IXr იაკობასძე ნიკოლაუზ (85).

XVr ფხიკასძე ბასილი (211).

XVIr ჯარდენისძე მახარებელი (230).

XVIv მიმინოსძე ბიბილა და მისი ძმა მახარებელი და მახარებელის მეუღლე ნათელი (365).

XIv მთვარასძე იოვანე და მისი ძმა კვრიკე (496).

Xv ფხიკაძე მახარებელი და მისი მეუღლე ნათელი (502); ფიბოტისძე გიორგი და მისი მეუღლე თინა, შვილი ბეშქენი (503); თოთოსძე უთნევარი (504).

IXv გუადარებისძე ბახატა და მისი მეუღლე ბორენა (509); თავდიდისძე გიორგი და მისი მეუღლე ბორენა (510), ყველისძე იოვანე და მისი მეუღლე ესანა (510ა).

VIIIv ბეგანი და მისი ძმები: გოღანია და მანანა (512); ქურცინა და კუირიკა (513); გოგაბერისძე მახარებელი და მისი მეუღლე ესანა (514); ჯარდენისძე დავით და მისი მეუღლე ნათელი (515); დავითისძე ნანა და მისი მეუღლე ხუარაშანი (516); ინაჲ (517).

## IVდ ტაბულა (XIV—XV სს.)

XIr შიბლასძე ბასილი (99); გორგასძე გიორგი და მისი ძმები: ბასილი და მიქაელი (100); შალთარაშვილი იოვანე და მისი მეუღლე ნათელი (101).

XVIIv ახალასძე დავით და მისი მეუღლე ცხორება (356).

XIv გუნდარისძე ჲოვანე, მისი მეუღლე ესნა და მათი შვილი ნიკოლაუზი (497).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## V ტაბულა (XV ს.)

VIr ვაშანისძე მიქაელი და მისი მეუღლე ბორენა (59); ვაშანისძე წიქარი და მისი მეუღლე თინა (60); კოკობისძე ცხადა და მისი მეუღლე მარიამი (61); გუნდარისძე მახარებელი და მისი მეუღლე თინა (62); ზარქისძე იოვანე და მისი მეუღლე ბორენა (63); ობეშისძე გიორგი და მისი მეუღლე თინა (64).

VIIIr ხალკიასძე გოგი და მისი მეუღლე მარიამი (69); სალიბასძე გოგი და მისი მეუღლე მარიამი (70); სალიბასძე ფოცუნა და მისი მეუღლე ხუარაშანი (72); გლისძიჯაძე ნიკოლაოზ და მისი შვილი გიორგი (73); შამიგძე იოვანე და მისი დედა ბორენა (74).

XIIr ვერძასძე მახარებელი (109); ვაშანისძე წიქარი და მისი მეუღლე თინინა (111); კუირიკასძე აფთარისი, მისი მეუღლე ნათია, მათი შვილი ბელა და რძალი ხუარაშანი (118).

XIIIr ბალასძე მახარებელი და მისი მეუღლე მარიამი (130); გიგნასძე იორდანე და მისი მეუღლე ნათელი (131); გაბლაშისძე ქუცნია და მისი მეუღლე თინა (132); დოლისძე ზაქარა (133); ერგელი, გაბრიჩისძე დავით და მისი მეუღლე თინა (134); ჯავახისძე დემეტრე და მისი მეუღლე მარიამი (135); ღურჯასძე მიქელი, მისი მეუღლე ნათელი და მათი შვილი ცაცაური (136); ბედინასძე მიქაელი და მისი მეუღლე რუსუდანი (137); გუნდარისძე ქუთნა (138); ჯარდენისძე ბასილი თერნაეთისა (139); კოსტანტისძე ნიკოლოზ და მისი შვილი ბასილი (140); კოსტანტისძე ზაქარია და მისი მეუღლე მარიამი (141); ღურჯასძე მიქაელი და მისი შვილი ცაცაური (142); ბალასძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე მარიამი (143); შატრიკისძე იოვანე და მისი მეუღლე თამსი (144); ჩაჯუასძე იოვანე და მისი მეუღლე ზაქიარაული (145); ბალასძე გიორგი და მისი განაყოფი გიორგი (146); ბალასძე მახარებელი (147); ღურჯაეთ მიქაელი და მისი მეუღლე რუსუდანი (148); ღურჯასძე დავითი, მისი მეუღლე ნათელი, შვილი კუირიკე (149); გიორგასძის ვაჟი სიხარული (150); ოგმეფისძე იორდანე და მისი მეუღლე რუსუდანი (151); ჯარდენისძეთა ვაჟნი გიორგი და ნიკოლოზი (152); ღურჯაეთ გაზრდილი ჩიჩქინა და მისი მეუღლე მარიამი (153); ბუბუჩისძე ასასა (154); მწითურეთ კჯრიკე (155); ნათელ კირკიტული (156); ქამქისძე გიორგი (157); სუმბატისშვილი გივი (158); გიორგაეთ ვაჟი მახნია (159).

XVr ცანდასძე ზაქარია და მისი ღა ნათელი (228).

XVIIIr გუნდარისძის ვაჟი იოვანე (291); ჯარდენეთ ბასილი (293); ფარაჯეთ გრიგოლ (295).

XVIIIv ძახმატელი მჭედლისძე მიქაელი და მისი მეუღლე ცხორება (319); ტიბორეთ მეგომე მარინე (321); დავლაეთ ცხორება და მისი გაზრდილი მარიამი (322); გიორგაეთ გიორგი (323); გოგაბერეთ მიქაელი და მისი მეუღლე ხინკილაური (324); ნიკოლასძე გიორგი და მისი მეუღლე ფოთლული (325); ბედინათ ნიკოლოზი და მისი დედა მარინა (326); ბრევაეთ ქალი მარიამი (327); ბედინასძე ესაჲ და მისი მეუღლე მარიამი (329); ლომდერისძე დემეტრე და მისი მეუღლე ცხორება (330); გოგასძე სტეფანე და მისი მეუღლე ნათელი (334).

XVIIv კანჯარასძე გიორგი და მისი მეუღლე ცაცა (335); ნახცვარისძე დემეტრე (336); გუნდარეთ გიორგი მისი მეუღლე ნათელი და შვილი იოვანე (337);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჩიეთ დემეტრე და მისი მეუღლე თუთა (341); კვრიკასძე მიქაელ და მისი მეუღლე მარიამი (346); ხუცისძე ნიკოლოზ და მისი და თამარი (347); ჩიტასშვილი მახარებელი და მისი მეუღლე ნათელი (348).

XIIIv კუბრასძე გუგუ (442); გიგნასძე იორდანე და მისი მეუღლე ნათელი (444); მალეყმასშვილი დემეტრე და მისი მეუღლე თინა (451); ქამჭისძე ივანე და მისი მეუღლე მარიამი (452); მეფუტკრისძე გიორგი და მისი მეუღლე ბორენა (453); კილისურისშვილი ხუტუბური და მისი მეუღლე რუსუდან (459); ზაბლიეცასძე ზაქარია და მისი ცოლი ნათელი (460); მგელასძე გიორგი და მისი მეუღლე რუსუდან (461); ... მიქაელი (466); კულუმბურის ცოლი ნათელი (467); სასნასშვილი გიორგი და მისი მეუღლე რუსუდანი (468).

XIIv ბაზანდრის შვილი დავითი და ქოქიმლათი (477); ვაშანისძე გიორგი და მისი მეუღლე მარიამი (478); გიგაბასძე ნიკოლოზ (479); ჩიტასშვილი იორდანე (482).

VIv მიქლასძე ზაქარია და მისი მეუღლე ნათელი (527); შუშანასძე ზვადი და მისი მეუღლე ბორენა (528); ტრაპეზისძე ასლანი (529).

## V^ა ტაბულა (XV ს.)

IIIr შაუსყურიძე სულა (43); ჯარდენიძე იოვანე (44);

XIr მარტუილასძე იოანე (94); შაუსყურისძე გრიგოლ (95); ბასილისძე ივანე და მისი მეუღლე ნათელი (96); გორასძე ბასილი, მისი მეუღლე ცხორება და მათი შვილი შორენა (97); ბასილისძე დავით და მისი ძმა ნიკოლოზ (98).

XIIr კოკობინასშვილი ივანე და მისი შვილი კოკობინა (104); ცალმოგვისძე ივანე (106).

XIIv ფხიკისშვილი პეტრე და მისი მეუღლე თამი (483); ფხიკისშვილი გრიგოლ (484).

## V^ბ ტაბულა (XV ს.)

Ir გორგაზიეთ მახარებელი, მისი მეუღლე მარიამი და ასული თამსი (1); გორგაზიეთ კუირიკე, მისი მეუღლე თინა, მათი ქალი ცხორება (2); გულქანისშვილი იოვანე და მისი მეუღლე მარიამი (3); ხაპერასძე გიორგი და მისი მეუღლე ნათელი (4); კაკალისძე მიქაელი და მისი მეუღლე რუსუდანი (5); მჭედლისძე მიქაელი და მისი მეუღლე მარიამი (6); ჯოისძე ნანა და მისი მეუღლე აკრიელი (7); ბუწწელისძე იოვანე და მისი მეუღლე სინდაელი (8).

IIr ქლუტისშვილის ვაჟი ბექია (10); შავჩიტისძის ვაჟი ნიკოლოზი (12); წითელბერისძე იოვანე (13); გუნდარისძე დავით ხუცი და მისი მეუღლე მარიამი (14); ვაცაეთ ნიკოლოზი და მისი მეუღლე ნათელი (15); დოლისძე მახარებელი და მისი მეუღლე მართა (16); გიორგი წანლოა და მისი მეუღლე რუსუდანი (17); გოგაბერისძე იოვანე (20); გუნდარეთ დემეტრე და მისი მეუღლე მარიამი (22); საბადინი, მისი მეუღლე ნათელი, მათი შვილი ხუარაშანი (23); მიმინოსძე მახარებელი და მისი მეუღლე ნათელი (24); ქავთარასშვილი ოთარი (25); კუბრასძე ნიკოლოზ, მისი მეუღლე

ცხორება და მათი შვილი პატარა (26); ნუკრასძე მიქაელი და მისი მეუღლე მარიამი (28); მურკუზასძე კოზმანი (29).

IIv ბერნასძე გიორგი და მისი მეუღლე აფხაზელი და მათი შვილი მარუშიანი (562); შერაფხე ცხორება და მისი შვილი გიორგი (563); ჩაჩიკონასძე ბასილი და მისი და მარიამი (564); დავლასძე მიქაელი და მისი მეუღლე ცხორება (565); ჯეჯელისძე იოვანე და მისი მეუღლე მარიამი (566); აჯსართანისშვილი სარიჯა (567); ერგელისძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე მარიამი (568); გლირჯაეთ ქალი მართა (569); კარქისძე ნონია და მისი მეუღლე გუანცა (570); კაციოქროსძე იორდანე და მისი მეუღლე ნათელი (571); ბალასძე სიასა (572); ცანდასძე ნონოი და მისი მეუღლე ხუაშაქი (573); ფოთელისძე მახარებელი, მისი მეუღლე მარიამი და მათი შვილი მარიამი (575); ფოთელისძე კირასა (576); ქუაბელისძე, მისი მეუღლე რუსუდანი და მათი შვილი მიქაელი (577).

Iv დაბელი ჩიმაგასძე ივანე (578); პეტრასშვილი დავით და მისი მეუღლე მარიამი (579); თევთიეთ ვაჟნი: დავით და ქება, მათი და ბორენა (580); თათნასძე მიქაელი — კილნათელი, მისი მეუღლე მარიამი (581); კაკალეთ ვაჟნი ივანე და დიმიტრი (582); ქოქოლისძე გიორგი და მისი დედა (583); როსტომისძე გროგოლ (584); ცივნარისძე ცივნარა (585); მჯეცისძე მჭედელი მიქაელი და მისი მეუღლე თამარ (586); აჯსართანისშვილი ალადინი და მისი მეუღლე სადაგანი (587); ნადირა (588).

## V^ბ ტაბულა (XV ს.)

XIv გორგასძე ისაია და მისი ძმა ზაქარა (498); ჭუბასძის ქალი შორენა (499); ჩიკუტისძე დოდია და მისი მეუღლე მარია (500).

## VI ტაბულა (XV—XVI სს.)

Ir იაკობისძე იაკობი (9).

IIIr თევთისძე დავით (37).

XIIr იაბედაეთ ვაჟი იოვანე (114); ფარაჯისძე ბეშქენი და მისი მეუღლე მარიამი (115); გუნდარისძის ვაჟი დიაკონი ნიკოლოზ (123).

XIIIr ხუცისძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე მარიამი (160); აბრაჰამ წინამძღვარი, რაჯაჯელისძე და მისი შვილი ჭაჭკანა (161); მარინე, წინამძღვრის ცოლყოფილი (162); თევთისძე მიქაელ, მისი მეუღლე თამარ და შვილები: დავით და ქება (163); კირკიტული ნათელი (164).

XIVr ხინკილასძე მიქაელ (172); გორგასძე მიქაელ, ხუცი (201); თევთიეთ გიორგი და მისი ძმა იოვანე (202).

XVr კანჯარეთ ივანე და კონა, მათი დედა მარიამი (227).

XVIIIr თევთიეთ დემეტრე (294); მორთულასძე კაკა და მისი მეუღლე გუანცა (296); გათენასძე გიორგი და მისი მეუღლე მარიამი (297); ვანთშაშვილი ნიკოლოზ და მისი მეუღლე ნათელი (298); ოსანასძე მიქაელის მეუღლე ბორენა (299); ნიქატაძე გიორგი, მისი მეუღლე მარიამი და მათი დედა ნათელი (301); ბალასძე იოვანე და პარასკევა (302); სავჩიტი ბუშქენ და მისი მეუღლე რუსუდანი (303).

XVIIIv ხახილისძე გიორგი, მისი მეუღლე ნათელი და მათი შვილი მიქაელი (308); გიორგასძე პაპა, ზენდიდელი. მისი მეუღლე ნათელი (309); რას-

ტაგანისძე დემეტრე და მისი მეუღლე მარიამი (315); ცალმოგჲსძე მიქაელ და მისი მეუღლე ნათელი (316).

XVIIv ვერძაული ცხორება (340); ჩიტაშვილი ნიკოლოზი და მისი ძმა სუნბატი (349); ქოქოლაური მარიამი (350); შალვასძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე ცხორება (353); იოვანე კობახთის გაზრდილი (354); აბაშ დოლისძე და მისი მეუღლე თამსი (355).

XIIIv შალვასძე იოვანე და მისი მეუღლე რუსუდანი (445); გიორგი თევთისძე და მისი ძმა იოვანე (446); გლირჯასძე იორდანე და მისი მეუღლე რუსუდანი (447); კანჯარეთ ქალი მარიამი და მისი შვილი მიქაელ (448); ბერერისძე ცხადა, მისი მეუღლე მარიამი და მათი შვილი იოვანე (449); ხინკილასძე მიქაელ (450); გოგიტასშვილი იოვანე და მისი შვილი სულა (455); კორტანელისძე პაპა და მისი მეუღლე ალანათი (457); მკერვალი დემეტრე (428)* და მისი მეუღლე ბორენა; საბასძე გიორგი (458); რასტაგანისძე ივანე და მისი მეუღლე თინა (462); შუშანასძე ივანე, შუშანასძე მიქაელ და მისი მეუღლე რუსუდან (463); ფოთელისძე გიორგი და მისი მეუღლე მარიამი (464); ფხიკასძე დავით და მისი მეუღლე შორენა (465).

XIIv გორგაძიათ ჩაუქა (494); გუნდარისძე გიორგჲ და მისი მეუღლე ჩიკოტური (495).

VIv გოგჲნისძე დავით (526).

IIIv გორგასძე ჩაუქა და მისი მეუღლე მარიამი (535); გორგასძე ანდრონიკე და მისი მეუღლე ნათელი (561).

## VI^ა ტაბულა (XV—XVI სს.)

IIIr გუნდარისძე ესაია, ხუცესი (33); ვაცასძე ნიკოლოზი (27, 40, 427) და მისი მეუღლე თინა (40).

XVIr კანჯარასძე მიქაელი, მისი მეუღლე ნათელი. მათი შვილი ესაია და რძალი ესანე (241).

XVIIIv თევთისძე გრიგოლ და მისი მეუღლე მარიამი (306).

XV ვაცასძე იოვანე და მისი მეუღლე მარიამი (383)[20]; გოგალასძე მიქაელი (399).

XIVv სასნაშვილი თევდორე და მისი მეუღლე მარია (429); ვარდანეთ გიორგჲ (430); გაბროჩისძე ნიკოლოზ, მისი მეუღლე ცხორება (431); გორგასძიეთ გაზრდილი იოვანე, მისი მეუღლე მარიამი (432); გიორგაეთ ქალი ცხორება (433).

XIIv გორკენასშვილი იოვანე და მისი მეუღლე მარიამ (490); ქლუტისშვილი არსლან (491); ზურაბისძე ესაია (492); ფხიკასძე იოვანე და მისი დედა მარიამი (493).

---

20 გვარი ვაცასძე სხვა სახელით მოხსენიებულია ჯვარის მონასტრის ტიშენდორფისეული ნუსხის აღაპებშიც. იხ. ელ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 77.

* ზუსტად ამავე მელნითა და ხელით არის დაწერილი ესაი შავჩიტისძის მოსახსენებელი (434).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VIბ ტაბულა (XV—XVI სს.)

XIIv აბესალამეთ სძალი ჩიქუნელისი (488); მელასძე მიქაელ და მისი მეუღლე მარიამი (489).

IIIv გორგოშასძე გიორგი და მისი მეუღლე თამსი (533); წიქარისძე დავით და მისი მეუღლე ბორენა (534); გუნდარისძე ზაქარია ხუცესი და მისი და ბურდუხანი (539); ბედიანთ სძალი მიქლაური გუანცა (540); გუარელასშვილი გიორგი და მისი მეუღლე თინა (541); გაბრჩიული მარინე და მისი შვილი ნიკოლოზი (542); მიმინოსძე იოვანე და მისი მეუღლე ცხორება (543); დოლიეთ კუირიკე და მისი მეუღლე თამსი (544); ვაცასძე გიორგი და მისი მეუღლე მარიამი (545); სინდასძე ნავროზი (546); სისოეთის წინამძღვარი ილარიონი და მისი გაზრდილი მანჩხა (547); დვალიშვილი სუნბატი (548); გორგასძე იოვანე და მისი მეუღლე (549); ღურჯასძე მიქაელი და მისი მეუღლე ბორენა (550); გორგასძეთ მახარებელი (551); გუნდარისძე დემეტრე და მისი დედა ცხორება (553); ფხიკასძე გიორგი და მისი შვილი იოვანე (554); იაბედა და მისი მეუღლე (555); ზურაბისძე გიორგი და მისი ძმა მახარებელი (556); გუიანისძე ონოფრე და მისი მეუღლე ცაცა (557); ქუაბულისძე შავთელი და მისი მეუღლე ნათელი (558); გაბროჩისძე დემეტრე და მისი მეუღლე ნათელი ჯოიური (559); პილპილასძე მიქაელი და მისი მეუღლე (560).

## VII ტაბულა (XVI ს.)

VIIr ცივნარასძე გრიგოლ და მისი მეუღლე მარიამი (65); მარტანეთ ნანა და მისი მეუღლე ხორეშან (66); კადიეთ მარიამი, მისი შვილი კოზმანი და კოზმანის მეუღლე თინა (67).

XIVv ჭაკუნტელასძე მახარებელი (407).

XIVv დავითისძე ივანა და მისი მეუღლე ხვარეშანი (505).

## VIIა ტაბულა (XVI ს.)

Xr მეფუტკრისძე გოშნა და მისი ძმა ფრანგი (89); ლომდერისძე ნიკოლოს და მისი მეუღლე რუსუდანი (90); კოთერასძე მიქაელი მისი შვილი თინა (91); მალეყმასშვილი მახარებელი და მისი დედა ხარაშანი (92); ვაშანისძე ივანა და მისი მეუღლე ესნა (93).

Xv ზარდაშელასძის ცოლი რუსუდანი და მისი შვილი ნათია (501).

## VIIბ ტაბულა (XVI ს.)

Vr ვაშანისძე ფოცხერა და მისი მეუღლე რუსუდანი (55); სიმურტანისძე იოვანე, მისი მეუღლე მარიამი და მათი შვილები: გიორგი და ნიკოლოზი (57); გამრეკლისძე ჲოვანე და მისი ცოლი რუსუდანი და ნათელი (58).

## VIII ნარევი ტაბულა

### XIV ს.

1

მაშლი იოვანე (50).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ბობოსძე დემეტრე (229).

3

ტრაპეზისძე ბეშქენი და მისი მეუღლე ნათელი (314).

XIV—XV სს.

სანადირისძე მახარა და მისი მეუღლე შურა (338); სანადირისძე მახარებელი და მისი მეუღლე საჯმარაული (342); სანადირისძე იოვანე (476).

XV ს.

1

ნაჯასძე ნიკოლოზ და მისი მეუღლე ნათელი (305).

2

ჯოისძე გიორგი (436); სანანო მახაჭასძე, მჭედელი, მისი მეუღლე ესნა და მათი შვილი მიქაელი (437); ფისასძე ნიკოლოზი და მისი მეუღლე ვისი (41); პეტრა მიქაშვილი და მისი მეუღლე თამარი (103).

3

კოკობისძე ცხადა და მისი მეუღლე მარიამი[21] (480); ქერაბაის გაზრდილი ნონა (481).

4

სიხარულიძე დემეტრე და მისი მეუღლე ნათელი (351); გუიანისძე აბალა (352); მაძვაფხე ხათუთა (125).

5

გოგლასძე ზაქარია (233).

6

ჭაღუმელისძე ნანა და მისი მეუღლე ნათელი (552).

7

კოსტანტისძე ივანე და მისი მეუღლე ნათელი (405); მელასძე ზაქარია და მისი მეუღლე ცხორება (406); მეფუტკრისძე იოვანე და მისი მეუღლე რუსუდანი (129); შურასძე სოლომონ და მისი მეუღლე მარიამი (379).

XV—XVI სს.

1

კანელისშვილი გოშნა და მისი მეუღლე რუსუდანი (31); იოვანე გარდაძე და მისი მეუღლე თინა (38); იოვანე დვალი და მისი შვილი გრიგოლი (300).

---

21 ეს მოსახსენებელი სხვა ხელით გამეორებულია. იხ. № 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ჩიმგასძე გიორგი და მისი დედა მარიამი (456); ივთასძე გიორგი და მისი დედა ნათელი (454); ივნასძე დემურტაში და მისი მეუღლე ნათელი (11); დანელის და თინა (18); უთლელისძე მარკოზი და მისი მეუღლე რუსუდანი (19).

3

მაგუდისძე ქურციკი და მისი მეუღლე ნათია (443); მჯეცისძე მიქაელი და მისი მეუღლე თამარი (21); სუმბატისშვილი გივი (574); ჩიტისძე ბასილი (438); მეფუტკრისძე გუგუნა და მისი მეუღლე ნათელი (523); თერსელასძე იოვანე და მისი მეუღლე ნათელი (524); დემეტრე მისჭიხია და მისი მეუღლე თამაზი (525).

4

გუნდარისძე მიქაელი და მისი მეუღლე შორენა (331).

XVI ს.

1

ფხიკასძე დავითი და მისი მეუღლე შორენა (339); მშვიდასძე თევდორე და მისი მეუღლე გიორგული (332); მელასძე სეხნა და მისი მეუღლე შორენა (333).

2

გაჩნა გიორგი, მისი მეუღლე ბორენა, ბორენას და მარიამი (304); გივისშვილი მურვან და მისი მეუღლე თინა (307); გივისშვილი საგია (320); შალვასძე კირა (328).

XVII ს.

1

კანჯარასძე კვირია ყოფილი ქუეშია (53); გუნდარისძე კვირიკე (54).

2

დავითაძე იოვანე და მისი მეუღლე ნათელი (56).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# V. ტბეთის სულთა მატიანე, როგორც საისტორიო წყარო

## 1. ტბეთის საყდარი

სააღაპე ჩანაწერები და სულთა მატიანეები მეტ-ნაკლები სისრულით იმ ეკლესიისა თუ მონასტრის თავგადასავალსაც ასახავენ, სადაც ისინი შეადგინეს, ამასთანავე, შეიცავენ ცნობებს მათს შემწირველებზე, მათ სამრევლოზე. ტბეთის საყდარი, სადაც სულთა მატიანის ეს ძეგლი შეიქმნა, მდებარეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლი) ერთ-ერთ ისტორიულ თემში — შავშეთში. მისი მაშენებელი — ქტიტორი იყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა უფროსი შტოს (შავშეთ-კლარჯეთის მფლობელთა) წარმომადგენელი გურგენ კურაპალატის ძე, ერისთავთ-ერისთავი აშოტ კუხი (+918 წ.), მანვე დასვა აქ პირველი ეპისკოპოსი სტეფანე. სუმბატ დავითისძე ამის შესახებ გვამცნობს: „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასუა პირველად ეპისკოპოსად... სტეფანე, უწყებითა სულისა წმიდისათა“[22]. ანალოგიურ ცნობას გვაწვდის „მატიანე ქართლისაჲ“[23].

ტბეთის საყდარი ამჟამად თურქეთშია.

ტბეთის მდებარეობაზე ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი. მასვე მოცემული აქვს ტბეთის საყდრის ზოგადი აღწერილობა: „ხოლო შავშეთის წყალი გამოსდის ერუშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას. ეს დის პირველად აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მერე მოდრკების და დის აღმოსავლეთსამჯრეთს შუადამ ჩრდილოთ-დასავლეთს შორის. ამას, ჭოროხის შესართავს ზეით, მოერთვის მდინარედ ჭილოვნის ჯევი, გამოსდის არსიანის მთას, მოდის ჩრდილოდამ სამჯრით გრეხით. ამ ჯევიდამ გარდავალს გზა ზარზმას და ყუელს... ამათ მდინარეთ შესართავს ზეით მოერთვის ჭილოვნის ჯევს შავშეთისავე მდინარე სათლესი და ტბეთისა. ესეც გამოსდის არსიანსავე და მოდის ტბეთამდე აღმოსავლეთად, და მერმე, ვითარცა შავშეთის წინათი მდინარე, ეგრეთ ესეცა დის. ამ წყალზედ არს სათლე, ქალაქი მცირე, და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა.

ამ სათლეს ზეით არს ტბეთი, სამჯრით ამ მდინარის კიდესა, რომელმან მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან. ტბეთს არს ეკლესია გუმბათიანი, მდიდრად ნაგები და დიდშუენიერი. ეს აღაშენა აშოტ კუხმან ბაგრატიონმან. იჯდა აქ ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა. ტბეთის პირისპირ, ჩრდილოთ კერძ, მდინარის გალმა, არს ციხე თუხარისი, რომელი

---

[22] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 380.

[23] იქვე, გვ. 260.

აღაშენა პირველ ოძრახოს, ძემან მცხეთოსისამან, შემდგომად ჟ3 მეფემან მირ-დატ აღაშენა ეკლესია ციხესა შინა; მერმე ყრუსაგან მოოჯრებული, აღაშენა მტბევარ ეპისკოპოზმან“[24].

ტბეთის საყდრის უფრო დაწვრილებითი აღწერილობა დაგვიტოვა გ. ყაზ-ბეგმა, რომელმაც ნახა ის 1874 წლის ივნისში:

«В получасовом расстоянии от Цихисдзири находится знаменитая деревня Тбети; она расположена на берегу небольшого ручья. В луч-ший период истории Грузии **Тбети был резиденцией управлявшего всем христианским миром от Гурии и Зарзмы до Арданучa.** Нынешняя деревня растянута на большом пространстве и вся окружена фрукто-выми деревьями и тучными полями. Посреди деревни красуется ме-четь, помещенная в здании старого кафедрального собора.

С именем Тбети неразрывно связано воспоминание о здешнем храме, или, лучше сказать, благодаря ему только и известно громкое имя Тбети. Здесь кстати заметить, что Тбети играет очень важную роль в истории Грузии и потому не лишнее сказать, что церковь ос-нована Ашотом Курапалатом[25] в 918 году[26] и играла видную роль во время эпископата Саввы, в царствовании Баграта IV, в начале XI ве-ка. В плане церковь имеет вид греческого креста; она вся обшита внутри и снаружи тесаным камнем одного цвета (красноватый твер-дый песчаник). В окрестностях деревни нет камня этой породы и по-тому достойно внимания народное предание, что весь материал заго-товлялся в двадцати верстах от деревни и передавался из рук в руки огромным числом рабочих, разставленных в одну шеренгу от камено-ломни до места постройки. Подобную-же басню мы слышали и о дру-гих больших храмах турецкой Грузии. Наружные стены тбетской церкви сохранились хорошо только с восточной стороны, с других сторон, особенно с северной, постройка значительно повреждена. Все наружные стены были украшены прелестными выступами в виде арок, покоющихся на изящных полустолбах. Художник варьировал эти украшения на разные лады и потому архитектор мог бы найти здесь изящное сочетание кривых линий. В восточной наружной стене сохранился камень с изящной резьбой и надписью.

Главный вход в храм развален, о нем нельзя себе сделать ясного представления; впрочем, кажется, он не отличался особенным изя-ществом. Совсем другой вид представляет внутренность церкви. Мес-то алтаря имеет вид большой полубашни, связанной с главною частью здания высокой крутой аркой, покоющейся на двух гигантских полу-столбах. Пьедесталы этих полустолбов состоят из цельных гранитных масс, изпещренных изящными рельефами; карнизы, цоколь и украше-

---

[24] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა სა-ქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 678—679.

[25] გ. ყაზბეგი შეცდომით მიიჩნევს აშოტ კუხს კურაპალატად. სინამდვილეში მისი მამის გურგენის შემდეგ კურაპალატობა მიიღო ქართველთა მეფემ ადარნესემ (თ. ე).

[26] გ. ყაზბეგი ტბეთის აშენების თარიღად შეცდომით ასახელებს მისი ამშენებლის აშოტ კუხის გარდაცვალების წელს (თ. ე.).

ния отличаются тем же изяществом. Средняя часть церкви представляет квадрат, имеющий в одной стороне 12 шагов. В углах этого квадрата высятся полустолбы, связанные тоже высокими, крутыми арками; на этих арках стоит купол с восемью длинными стрельчатыми нишами, связанными между собой маленькими арками. Против алтаря на западной стороне расположены широкие хоры, стоящие на четыреугольных столбах. С северной и южной сторонах церкви в крыльях креста и особняком расположены два небольших отделения, в которых, вероятно, хранилась архипастырьская ризница. Одно из этих отделений имело два этажа: верхний соединялся с главным зданием галлереей на низких арках. Эта галерея, сохранившаяся до сих пор, показалась нам изящнейшею частью здания. **Вся внутренность церкви, в общем, имеет грандиозный вид и оставляет впечатление более сильное, чем храмы Мцхеты, Зарзмы и Сапары.**

Внутренность тбетского храма, за исключением колонн, была оштукатурена и украшена фресками. Рисунки сохранились только в некоторых местах; но **эти остатки свидетельствуют о высоком состоянии живописи в период постройки храма.** На восточной стене сохранилось изображение Спасителя, сидящего на троне; кругом апостолы, ангелы и архангелы; лики святых сделаны изящно; краски свежи и ярки.

**Тбетская церковь могла бы составить украшение даже Рима, — так хорош ее общий вид и изящны ее детали.** Однако того же самого нельзя сказать о колокольне: она составляет нечто отдельное, не имеющее ничего общего с церковью, ни по размерам, ни по архитектуре. Это нечто приземистое и неуклюжее, как в общем, так и в частях. Самый материал, из которого сложена колокольня, не похож на окружающее. По всему видно, что это здание построено не в одно время с церковью и далеко не такими же мастерами, как те, которые строили главное здание. На верху колокольни, в карнизе крыши, мы заметили камень с надписями...

Около церкви сохранились развалины и большие подземные строения; а против Тбети, к северу от него, высится особняком большая столообразная гора, на которой, по преданию, стоял город. Быть может это древний Тухариси (по Вахуштию), или крепость Свети, построенная епископом Саввой. На эту мысль нас наводит прежде всего описание Вахушта, потом предание, сохранившееся у жителей и наконец то, что около лежащая деревня ныне называется Цихидзири (подошва крепости). Решение этого вопроса оставляем археологам[27]. (ხაზგასმა ჩვენია — თ. ე.).

ამრიგად, ტბეთის ეკლესიას გ. ყაზბეგზე გრანდიოზული შთაბეჭდილება მოუხდენია და ის მას სვეტიცხოველზე, ზარზმაზე და საფარაზე უფრო მაღლა აყენებს. რაც შეეხება სამრეკლოს, რომელიც უფრო მდარე ნაგებობა ყოფილა, ცხადია, ის არ შეიძლება ტბეთის საყდრის თანადროული ყოფილიყო, თუნ-

---

[27] Г. Н. Казбек, Три месяца в турецкой Грузии, Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества, кн. X, вып. 1, Тифл., 1876, стр. 52—55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც იმიტომ, რომ XIII საუკუნემდე საქართველოში სამრეკლოებს არ აგებდნენ[28].

უფრო გვიან ტბეთის საყდრის აღწერა და მისი წარწერები გამოაქვეყნა ნ. მარმა*.

## 2. შავშეთის თემი

ისტორიული შავშეთი ძველად ადმინისტრაციულად დაკავშირებული ჩანს კლარჯეთთან და აჭარასთან. ქართლის სამეფოს პერიოდში, როგორც ჩანს, ის შედიოდა კლარჯეთის საერისთაოში. ლეონტი მროველის ცნობით, ერთ-ერთს იმ რვა საერისთავოდან, რომლებიც განაწესა ფარნავაზმა, შეადგენდა კლარჯეთის საერისთავო და აქ შედიოდა ტერიტორია „არსიანითგან ზღუამდე“[29]. ქართველთა საკურაპალატო-სამეფოს არსებობის პერიოდში (IX—X სს.) შავშეთს ფლობდა ამოტ I ბაგრატიონის შთამომავალთა უფროსი შტო. საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის პირველ პერიოდში შავშეთი, როგორც ჩანს, ცალკე საერისთავო იყო: ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისში „მატიანე ქართლისა“-ში და სუმბატ დავითისძესთან იხსენიება შავშეთის ერისთავი ჩანჩახი, რომელმაც უღალატა მეფეს[30]. ამის შემდეგ, შავშეთის საერისთავო, როგორც ჩანს, გაუქმდა. მას განაგებდა ტბეთის ეპისკოპოსი, რომელმაც უერთგულა მეფეს და ქვეყანას ფეოდალური ამბოხებისა და ბიზანტიელთა შემოსევის პერიოდში XI საუკუნის 20-იან წლებში.

XII საუკუნეში შავშეთი, კლარჯეთთან და ტაოსთან ერთად, სამეფო დომენად ჩანს[31]. მას ამ საუკუნის 80-იან წლებში განაგებს გუზან ტაოსკარელი[32].

XIV—XVI სს-ში შავშეთი შედის სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში და მას განაგებენ სამცხის ათაბაგები — ჯაყელები.

XVI ს-ის ბოლოს შავშეთი, მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ერთად, დაიპყრო თურქეთმა.

## 3. ტბეთის ეპარქია, ტბელი || მტბევარი

ტბეთის (შავშეთ-აჭარის) ეპისკოპოსის — ტბელის სამწყსოს ისტორიული ბედიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული შავშეთ-კლარჯეთისა და აჭარის ისტორიასთან. ტბელის სამწყოში მისი წარმოქმნიდან XIII ს-მდე, როგორც ჩანს, შედიოდა მთელი შავშეთი და, უნდა ვიფიქროთ, აჭარაც. „განგება დარბაზობისა“, რომლის ძირითადი ნაწილის ქრონოლოგიური ფენა, როგორც ჩანს, XII—XIII სს-ის მიჯნას ეკუთვნის, გვაწვდის ეპისკოპოსთა სიას. მასში ისტორიულ ზემო ქართლში დასახელებულია შემდეგი ეპარქიები: აწყურის

---

28 ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 62.

29 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 24.

30 იქვე, გვ. 292, 385.

31 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1963, გვ. 55.

32 იქვე, გვ. 49.

* Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с Дневником поездки в Шавшию и Кларджию, С.-Петербург, 1911, стр. 10—27.

(სამცხე), კუმურდოს (ჯავახეთი), იშხნის (ტაო), ანჩის (კლარჯეთი), ტბეთის (შავშეთი), წურწყაბის, წყაროსთავის, ერუშეთის, ბანის (ტაო)[33]. როგორც ვხედავთ, შავშეთისა და აჭარის მხარეებში ჩანს მხოლოდ ერთი ეპარქია — ტბეთისა. შემდეგში, როგორც ჩანს, ტბეთის ეპარქიის ტერიტორიული ფარგლები რამდენადმე შეიკვეცა. XVI საუკუნეში შედგენილი სამცხე-საათაბაგოს ეპარქიების სიის მიხედვით მტბევარის სამწყსოში შედიოდა მთელი შავშეთი, მიჭიხიანით და აჭარის ერთი ნაწილი. ხოლო აჭარის მეორე ნაწილი ამ პერიოდში შედიოდა ქუთათლის სამწყსოში[34].

ამრიგად, XVI ს. ტბეთის ეპარქიაში აღარ ჩანს აჭარის ნაწილი — დანდალოს ქვემოთი. როგორც ჩანს, ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ აჭარის ეს ნაწილი აღარ იყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად დაკავშირებული შავშეთთან და არ შედიოდა სამცხე-საათაბაგოში. ხსენებული ძეგლი ასე განსაზღვრავს მტბევარის სამწყსოს ტერიტორიულ ფარგლებს: „მ ტ ბ ე ვ ა რ ი ს  ს ა მ წ ყ ს ო: დახატულას ზედათი, ანაკერთს აქეთი. სულა შავშეთი მიჭიხიან«ი»თ. ბატონის კათალიკოზის — იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა. აჭარა, დანდალოთ ზეითი მას ჰქონია. დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა“[35].

ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, მტბევარის სამწყსოში თავდაპირველად შედიოდა კლარჯეთი და შავშეთი, აჭარას ის არ ახსენებს: „...მწყემსი ანაკერტს ზეითისა, ს რ უ ლ ა დ  შ ა ვ შ ე თ ი ს ა  და  ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ს ა“[36]. სინამდვილეში კლარჯეთი ძირითადად შედიოდა ანჩელის სამწყსოში. ანჩელისა და მტბევარის ეპარქიების საზღვარი ყოფილა დანდალო.

მტბევარი ეპისკოპოსი დიდ როლს თამაშობდა საქართველოს არა მარტო რელიგიურ, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. სუმბატ დავითის ძისა და „მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისში, როდესაც შავშეთის ერისთავი ჩანჩახი მიერთო ბიზანტიას, როდესაც ტაოელი აზნაურები განუდგნენ მეფეს და გადავიდნენ ბიზანტიის მხარეზე, რათა განემტკიცებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა ცენტრალური ხელისუფლებისაგან, საბა მტბევარს აუგია ტბეთის თავზე ციხე „სუეტი“, შეუკრებია აქ თავისი მრევლი, დაუჭერია შავშეთის ქვეყანა და დაუცავს ის მტრისაგან:[37] „რაჟამს იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, აგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ აბხაზთა მეფესათჳს. პატივ-სცა ღმერთმან და ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა... შემოვიდა მასვე ციხესა შინა ეზრა ანჩელი, და რომელნი აზნაურნი გამოჩნდეს ერთგულად, შეუდგეს მასვე ციხესა შინა და გამაგრდეს ფრიად“[38].

ყურადღებას იქცევს ამ ცნობაში ეზრა ანჩელის მოხსენიება. ვინ არის ანჩელი? ეპისკოპოსი თუ მონასტრის წინამძღვარი? მატიანე ქართლისა ანჩელის ვინაობას არ განმარტავს, სუმბატ დავითისძესთან კი შესატყვის ცნობაში ის წოდებულია ეპისკოპოსად: „ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი“[39]. „განგება დარბაზო-

---

33 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, ტფ., გვ. 46.

34 Д. Б а к р а д з е, Археологическое путешествие по Грузии и Адчаре, С. Пб., 1878, с. 81.

35 იქვე.

36 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 679.

37 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 386.

38 იქვე, გვ. 292.

39 იქვე, გვ. 386.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა“-ში ანჩელი წოდებულია არქიმანდრიტად[40]. არქიმანდრიტი კი ეწოდებოდა დიდი მონასტრის, ან რამდენიმე უდაბნოს წინამძღვარს (ასეთი არქიმანდრიტი იყო, მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი). კლარჯეთი ეპარქიულადაც ძირითადად ანჩელის სამწყსოში უნდა ვიგულისხმოთ ამ პერიოდში. ამავე დროს ანჩელი უნდა მივიჩნიოთ კლარჯეთის სახელგანთქმული უდაბნოების (ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, ბერთა, ანჩა და სხვა) არქიმანდრიტად. კლარჯეთსა და შავშეთში ამ დროს ყველაზე გავლენიანი მღვდელმთავრები ყოფილან მტბევარი და ანჩელი. სწორედ მათ უერთგულიათ საქართველოს მეფისთვის (ტაოელი ეპისკოპოსი ბანელი იოანე კი მტრის მხარეზე გადასულა ტაოელ აზნაურებთან ერთად). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, მტბევარ ეპისკოპოსს მეფემ მიანიჭა შავშეთის პოლიტიკური გამგებლობის ფუნქციაც — დანიშნა შავშეთის ერისთავად. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს სამეფო კარზე დარბაზობის დროს მტბევარ ეპისკოპოსის უკან მის მოლარეთუხუცესს ფარი და ხმალი ეჭირა — „მტბევარსა ზედა დარბაზს, მისსა საჯდომსა უკანით, მისსა მოლარეთუხუცესსა ფარი და ჴმალი აქვს უკანით, ამად რომე ერისთავიც არის შავშეთისა“[41].

ტბეთის საყდარი ამავე დროს იყო ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ერთ-ერთი კერა, ხოლო მტბევარი ეპისკოპოსები — გამოჩენილი მწიგნობრები. ერთ-ერთი ეპისკოპოსი — სტეფანე მტბევარი ავტორია აგიოგრაფიული თხზულებისა „მიქაელ-გობრონის მარტვილობა“[42]. დიმიტრი ბაქრაძეს მიაჩნია, რომ პოეტი იოანე შავთელიც იყო ტბეთიდან, რადგანაც, მისი აზრით, „შავთელი“ შემოკლებული შავშეთელია[43], ტბეთის ეპისკოპოსები იწოდებიან მტბევარებად, ან ტბელებად. გარდა სტეფანე მტბევარისა, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია სხვა მტბევარებისა და ტბელების სახელებიც[44].

ტოპონიმი ტბეთი ნაწარმოებია სიტყვიდან ტბა. ბუნებრივია, რომ ტბასთან დაკავშირებული ტოპონიმები: ტბეთი, ტბისი და სხვ. მრავალ კუთხეში გვხვდება. ამ ტოპონიმთან დაკავშირებული საერო და სასულიერო გვარ-სახელებიდან კი განსაკუთრებით ცნობილია სამი: 1. შავშეთის ტბეთის ეპისკოპოსის აღმნიშვნელი — მტბევარი || ტბელი, 2. XI—XIV სს -ის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვან ფეოდალთა — აბუსერისძეთა საგვარეულო სახელი — ტბელი (ჯერ არტანუჯის ერისთავები XI ს-ში, შემდეგ ხიხათა მემამულეები — აჭარაში)[45], 3. შიდა ქართლის ტბეთის (ცხინვალის ახლოს) IX—X სს -ის მემამულეთა საგვარეულო — ტბელი[46], ტბელი საგვარეულო სახელად ცნობილია, აგრეთვე, კახეთის ფეოდალურ საგვარეულოში — გოდერძიანებში[47].

---

40 ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 44.

41 იქვე, გვ. 45.

42 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1954, გვ. 172. ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვეთი მეორე, 1962, გვ. 466.

43 Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875, с. 111.

44 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 19.

45 აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, ლ. მუსხელიშვილის გამოც., თბ., 1941, გვ. 24.

46 ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფ. დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, თბ., 1958, გვ. 46.

47 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 248.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი ორი: ტბეთის ეპისკოპოსები და აბუსერიძე ტბელები. აბუსერიძეთა გვარში სახელი „ტბელი“-ს დამკვიდრება მიუთითებს იმაზე, რომ ეს საგვარეულო ან მისი ერთი განშტოება იყო ტბეთის მემამულე, ე. ი. მემკვიდრეობით მფლობელი. ფეოდალები გვარს იღებდნენ ადგილის სახელიდან იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილი მათი სამემკვიდრეო სამფლობელო-მამული იყო და არა სახელო ქვეყანა. ასე წარმოიქმნა გვარები: თორელი, თმოგველი, ძამელი, ახალციხელი, ჯაყელი, გაგელი და სხვ. შემდეგ, ეს გვარის აღმნიშვნელი სიტყვა აბუსერიძეებში ქცეულა სახელად — აბუსერიძე ტბელი[48]. ასე იქცა გვარიდან სახელებად მაგალითად: მხარგრძელი, ახალციხელი, თორელი და სხვა.

ამრიგად, აბუსერიძეთა საგვარეულო დაკავშირებული იყო ტბეთთან: წარმოადგენდა ტბეთის საერო მფლობელს გარკვეულ პერიოდში.

„ტბეთის სულთა მატიანეში“ დაცულია მდიდარი ონომასტიკონი, რომელიც მრავალმხრივაა საყურადღებო, როგორც საისტორიო მასალა. ძეგლის 588 მოსახსენებელში, რომლის ძირითადი ფენა (160 მოსახსენებელი) განეკუთვნება XII—XIII საუკუნეებს, ხოლო დანარჩენი ფენები XIII—XVII საუკუნეებს, დასახელებულია 348 გვარი და 21 გეოგრაფიული სახელი. ეს ონომასტიკონი განეკუთვნება ძირითადად ძველ ქართულ ისტორიულ თემს — შავშეთს, ნა;ილობრივ კლარჯეთსა და აჭარას.

## 4. „ტბეთის სულთა მატიანეში“ დამოწმებული გვარების სოციალური კუთვნილება

შუა საუკუნეებში ეკლესია-მონასტრების შემწირველები, როგორც ცნობილია, ძირითადად იყვნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები — მეფეები, ფეოდალები, მაღალი სამღვდელოება. ამის გამო სააღაპე ჩანაწერებში და სულთა მატიანეებში, ჩვეულებრივ, პირველ რიგში, შესულია მათი გვარები, განსაკუთრებით ეს ითქმის უცხოეთის ქართული მონასტრებისა და საქართველოს დიდი ეკლესიების აღაპებსა და სულთა მატიანეებზე. ამ ეკლესია-მონასტრების შემწირველები ძირითადად საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ წყაროებში დაცულია ზოგიერთი ცნობა დაბალი ფენის შემწირველთა შესახებაც. ასეთ ცნობას გვაწვდის, მაგალითად, გერგეტის სულთა მატიანე[49].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სულთა მატიანეები შედგენილია გარკვეული გეგმით. მოსახსენებლები მათში დაყოფილია ნაკვეთებად. პირველ რიგში მიდის მეფეთა მოსახსენებლები, შემდეგ დედოფალთა, დიდებულთა და ა. შ. სულ ბოლო ნაკვეთში კი დაბალი ფენის წარმომადგენელთა მოსახსენებლებია[50]. ამ უკანასკნელებს ეკლესია-მონასტრისადმი, ცხადია, მხოლოდ მცირე შესაწირავის გაღება შეეძლოთ.

„ტბეთის სულთა მატიანის“ შემორჩენილი ტექსტი, ვფიქრობთ, უნდა იყოს ძეგლის ის ნაკვეთი, რომელსაც ელ. მეტრეველი კერძო პირთა მოსახსენებლებს უწოდებს. ძნელია იმის თქმა, თუ რა შედგენილობისა იყო „ტბეთის სულთა მატიანის“ დაკარგული ნაწილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც, ისევე როგორც

---

48 ნ. შოშიაშვილი, XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი“, № 9, თბ., 1966, გვ. 150.

49 ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები XV—XVIII სს., თბ., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 273—274.

50 ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

სხვა დღემდე ცნობილ და შესწავლილ სულთა მატიანეებში, იქნებოდა მეფედედოფალთა და დიდებულთა, აგრეთვე, მაღალი საეკლესიო პატივის მქონე პირთა მოსახსენებლები.

„ტბეთის სულთა მატიანეში“ დამოწმებული გვარების სოციალური კუთვნილების გარკვევას ართულებს მასში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის მოუხერხებლობა. ამასთან, ამ პირებზე მატიანეში ძალიან მცირე ცნობებია დაცული. ძეგლში შემორჩენილი მოსახსენებლების დიდი ნაწილი დაბალი ფენებიდან გამოსული შემომწირველები ჩანან. ესენი არიან უშუალო მწარმოებლები, რაზეც მიუთითებს ზოგიერთი გვარის წარმოება. მაგალითად: მეფუტკრისძე (89), ნაწარმოები მეფუტკრიდან, მჭედლისძე (6,319) — მჭედლიდან. ტექსტში ზოგჯერ არის მითითება მოხსენიებულ პირთა საქმიანობაზე. მაგალითად: მჭედელი (280 — ჩავლაეთ-ის საგვარეულო; 437 — მახაჭისძე; 586 — მჯეცისძე); მკერვალი (428, 458); ოქრომჭედელი (183 — არსლან ოქრომჭედელი), მეგომე (321 — ტიბორეთ საგვარეულო). ცხადია, ესენი დაბალი წრიდან გამოსული პირები — ხელოსნები არიან. მათგან ყურადღებას იპყრობს არსლან ოქრომჭედელი. ძველი ქართველი ოქრომჭედლებიდან ცნობილია ასან გვაზავასძე, რომლის მოჭედილი წმინდა გიორგის ორი ხატი ინახება ზემო სვანეთის სოფ. ნაკიფარში. ამავე საგვარეულოდან ცნობილი არიან ოქრომჭედლები — თევდორე და გიორგი, რომელთა მიერ მოჭედილი ხატები შემოგვრჩა აგრეთვე სვანეთში[51].

ოქრომჭედელი ასან გვაზავასძე ასოციაციას იწვევს ტბეთის მატიანის არსლან ოქრომჭედელთან. ასეთი იდენტიფიკაციისათვის, ჩვენი აზრით, არ არსებობს გადაულახავი დაბრკოლება: მართალია, გვაზავასძეთა მიერ მოჭედილი ხატები სვანეთში შემოგვრჩა, მაგრამ ეს სრულიადაც არ მოწმობს იმას, რომ გვაზავასძეები მაინცდამაინც მხოლოდ სვანეთში მოღვაწეობდნენ. სავსებით დასაშვებია, რომ გვაზავასძეები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ შავშეთში, ხოლო მათ მიერ მოჭედილი ხატები შემდეგ მოხვდნენ სვანეთში. მათი ნაწილი, ალბათ, საგანგებოდ სვანეთის ეკლესიებისათვის მოჭედინეს, როგორც, მაგალითად, იფარის წმ. გიორგის ხატი, რასაც მოწმობს ამ ხატის წარწერა: „მოჭედა ხატი ესე წმინდა გჲორგისა იფარისა, ჩემგან მარუშის მიერ, სალოცველად და სახსრად სულისა ჩემისა, დღესა მას განკითხვისასა, ჩემითა ოქროითა და ვერცხლითა, ჯელითა ასან ოქრომჭედლისათა“[52]. წარწერიდან ჩანს, რომ მარუშის შეკვეთით ასან ოქრომჭედელს გაუკეთებია ხატი საგანგებოდ იფარის წმ. გიორგის ეკლესიისათვის. თავისთავად გვაზავასძე არ ჩანს სვანური გვარი. ის ორმაგი წარმოებისაა (-ავა და -ძე ნაწილაკებით); გვაზ-ავა-ს-ძე. ძე-თი წარმოებული გვარები ტბეთის სულთა მატიანეში მრავლად გვხვდება. სახელების არსლან-ისა და ასან-ის გაიგივება შესაძლებელი ჩანს.

ტბეთის სულთა მატიანეში საერთოდ ხშირად გვხვდება სახელი არსლან. ასეთებია: არსლან ბალასძე (258); არსლან ქლუტისშვილი (491) და არსლანისაგან ნაწარმოები გვარი — ბიბილა არსლანისშვილი (217), მურუყა არსლანისშვილი (217).

ხელოვნებათმცოდნეების მიერ ასან გვაზავასძის მიერ მოჭედილი ხატების XI ს-ით დათარიღება[53] ამ იდენტიფიკაციისათვის დაბრკოლებას არ ქმნის,

---

51 ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 65—67.

52 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

53 Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, 1959, ч. I, с. 363, 366.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან, როგორც უკვე ზემოთ აღნიშნული გვქონდა, „ტბეთის სულთა მატიანის“ ძირითადი ქრონოლოგიური ფენა, XII—XIII საუკუნისა, შედგენილია უფრო ადრინდელი აღაპების ერთ სულთა მატიანედ გაერთიანების შედეგად (ამასთანავე გვაზავასძეთა ხატების წარწერების პალეოგრაფიული ნიშნები XI ს -ზე უფრო გვიანდელ ხანას მიუთითებენ).

მატიანეში მოხსენიებული არიან, აგრეთვე, დაბალი სასულიერო რანგის პირები: მნათე (174), დიაკონი (123, 407), ხუცი (14, 88, 193, 201, 223, 507), ხუცესი (33).

საქმიანობის მიხედვით მატიანეში მოხსენიებული ზოგიერთი პირი შეიძლება ყოფილიყო როგორც მაღალი, ისე დაბალი წრის ადამიანი, შედარებით უფრო მაღალი წრიდან ჩანან, მაგალითად: მწერალი (173), წინამძღვარი (162, 547), მოძღვარი (182)...

ტექსტში მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს, როცა აღნიშნულია მოხსენიებული პირის დამსახურება: 1. „ს(უ)ლსა გუნდარისა კვირიკესა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ. წ(მ ი დ)ი ს ა გ ვ რ გ ვ ნ ო ს ა ნ ს ა ს ა ს ა ნ თ ლ ე მ ო ა ხ ს ე ნ ა. კულაცავე შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“ (54); 2. „ს(უ)ლსა კიბელისძესა კ(ვ)რიკეს(ა)სა და მეუღლესა მის«ი»სა დუდასა და მისთა მშ(ო)ბ(ე)ლთა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ. ა მ ა შ ტ ო ჲ ს ა შ ე ნ ე ბ(ა)ს ა შ ი გ(ა)ნ დ ი დ ი ჭ ი რ ი ნ ა ხ ა“ (170). ორივე აღნიშნული მოსახსენებელი მოწმობს, რომ ისინი დაბალი წრის წარმომადგენლებს ეკუთვნიან: პირველ შემთხვევაში შეწირულია სასანთლე. როგორც ჩანს, არც ოქროსი და არც ვერცხლის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აღნიშნული იქნებოდა. ცხადია, ეს მცირე შესაწირავი არ ეკუთვნოდა მაღალი წრის წარმომადგენელს. მეორე შემთხვევაში ვინმე კვირიკე კიბელისძე, როგორც ჩანს, თითონ კი არ აშენებს მთლიანად სტოას თავისი სახსრებით, არამედ რაღაც მონაწილეობას ღებულობს მის მშენებლობაში, რის გამოც დიდი **გაჭირვება** შეხვედრია (შეადარეთ, გუნია-ყალის **ჯელი**. „ჯალაბაჲს **მოჭირვებითა**... დაისუა **ჯელი** ესე“)[54].

მატიანეში მოხსენიებული გვარების ნაწილი ემსგავსება ფეოდალთა ცნობილ გვარებს. მაგალითად: ვარდანეთი (215, 279, 430) გვახსენებს სვანთა ერისთავებს ვ ა რ დ ა ნ ი ს ძ ე ე ბ ს, მჭეცისძე (21, 586) — მ ჭ ე ც ი ს ძ ე || მ ხ ე ი ს ძ ე თ ა ფეოდალურ საგვარეულოს, გ ა მ რ ე კ ლ ი ს ძ ე (58) დიდგვარიან ფეოდალთა თორელთა საგვარეულო სახელ გამრეკელს, ტ ბ ე ლ ი ს ძ ე (225, 245) — ხიხათა მემამულეების აბუსერისძეთა საგვარეულო სახელს — ტბელს, ბ ე დ ი ა ნ თ ი (540) — დადიანთა საგვარეულო სახელს ბედანს (გვიანდელი ვარიანტით — ბედიანს).

როგორც ჩანს, ეს მსგავსება შემთხვევითია: ვ ა რ დ ა ნ ე თ ი ს გვარში (ისევე, როგორც სვანთ ერისთავ ვარდანისძეებში) გავრცელებული ყოფილა სახელი ვარდან (279), ამავე გვარში გვხვდება სახელი გიორგი (430), ისევე, როგორც ვარდანისძეთა განაყოფ დადიანთა გვარში, მაგრამ ვარდანეთის გვარში ყოფილა, აგრეთვე, სახელი სასნა (215), რაც სრულიად უცხოა როგორც ვარდანისძეების, ისე დადიანების გვარისთვის. შემდეგში თვით **სასნა**-დან უწარმოებიათ გვარი — სასნაშვილი, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, თევდორე, მოხსენიებულია მატიანეში (429). საერთოდ, ტბეთის სულთა მატი-

---

54 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის გამოცემა, თბ., 1953, გვ. 26.

ანეში ვარდანისძეთა მოხსენიება არ არის მოსალოდნელი, ამდენად, ცხადია, ვარდანეთს ვარდანისძეებთან არაფერი აქვს საერთო.

მ ჯ ე ც ი ს ძ ე თ გ ა ნ მატიანეში მოხსენიებულია ვინმე მიქაელი, რომელიც მჭედელი ყოფილა (21, 586). ცხადია, ეს პროფესია ნათელყოფს მის დაბალ წარმომავლობას.

გ ა მ რ ე კ ე ლ ი, როგორც ცნობილია, დიდ ფეოდალთა თორელთა საგვარეულო სახელია. მაგრამ, ჩანს, ეს სახელი იყო, აგრეთვე, დაბალი ფენების გვარებშიც, საიდანაც წარმოიქმნა გვარი გამრეკლისძე. ასე რომ მატიანეში მოხსენიებული იოვანე გამრეკლისძეს არაფერი აქვს საერთო თორელთა საგვარეულოსთან.

მატიანეში მოხსენიებული საგვარეულო ბ ე დ ი ა ნ თ ი (540), ნაწარმოებია ბედიან-იდან. აქვე მოხსენიებულია ბ ე დ ი ნ ა თ ი (326) და ბ ე დ ი ნ ა ს ძ ე (137, 329), რომლებიც, ცხადია, ნაწარმოებია ბ ე დ ი ნ ა-დან. ყველა ეს სახელი, როგორც აღვნიშნეთ, გვახსენებს დადიანთა საგვარეულო სახელს — ბ ე დ ა ნ ს (ბედიანი), მაგრამ აქაც აშკარაა, რომ ბედიანთი, ბედინათი და ბედინასძე არაა დაკავშირებული მაინცდამაინც ბედან დადიანთან და, ჩვენი ვარაუდით, მსგავსება კვლავ შემთხვევითია.

ჩვენს ძეგლში არის, აგრეთვე, ვ ა ც ა ს ძ ე თ ა: გიორგის (545), იოვანესა (383) და ნიკოლოზის (15, 27, 40, 427) მოსახსენებლები. ვაცასძე შოთას აღაპი შეტანილია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში (I 97)[55]. ეს გვაფიქრებინებს, რომ ვაცასძეთა საგვარეულო იყო წარჩინებულთა შორისაც. იყვნენ თუ არა „ტბეთის სულთა მატიანეში“ მოხსენიებული ვაცასძეები და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული შოთა ვაცასძე ერთი და იგივე საგვარეულოს წარმომადგენლები, არ ჩანს. უფრო, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც საქმე გვაქვს ერთი და იმავე სახელწოდების ორ სხვადასხვა საგვარეულოსთან, რომელთაგან ერთი ფეოდალთა წრეს ეკუთვნის (ჯვრის აღაპებში მოხსენიებული), ხოლო მეორე — დაბალ ფენას (ტბეთის სულთა მატიანეში მოხსენიებული).

რამდენადმე დამაფიქრებელია გვარი ტ ბ ე ლ ი ს ძ ი ს წარმომავლობა. მატიანეში მოხსენიებული არიან ამ გვარიდან ივანე (225) და თევდორე (245). ტბელისძე ნაწარმოებია ტ ბ ე ლ ი დ ა ნ. თავის მხრივ ტ ბ ე ლ ი წარმოდგება ტბეთიდან და საერო პირებში აღნიშნავს ან ტბეთის მემამულეს (ე. ი. ტბეთის მემკვიდრეობით მესაკუთრეს), ან ტბეთის მცხოვრებს. სახელი ტბელი, როგორც ცნობილია, დამკვიდრებული იყო ხიხათა (მდებარეობს აჭარაში) მემამულეების საგვარეულოში — აბუსერისძეებში. ამავე საგვარეულოში ძალიან გავრცელებულია სახელი ივანე, რომელიც გვხვდება, აგრეთვე, ჩვენს მატიანეში მოხსენიებულ ტბელისძეში. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ტბეთის მატიანეში გვხვდება ისეთი იშვიათი სახელები, როგორიცაა სანანო (437, კაცის სახელი) და აჯსართანი (→აჯსართანისშვილი 567, 587), ეს სახელები კი დამოწმებულია, აგრეთვე, აბუსერისძეთა გვარშიც[56]. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს: ხომ არ არიან „ტბეთის სულთა მატიანეში“ მოხსენიებული ტბელისძეები თავიანთი წარმომავლობით დაკავშირებული აბუსერისძე ტბელთან და ხომ არ აიხსნება აბუსერისძეთა საგვარეულო სახელების მიბაძვით ამ სახელების (აჯსართანი, სანანო) დამკვიდრება ტბეთის მხარის დაბალ ფენებში?

---

[55] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

[56] აბუსერიძე ტბელი, დასახ. გამოც., გვ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება აგრეთვე დავუშვათ შემდეგი ვარაუდი: იმის გამო, რომ ტბელისძეთა მოსახსენებლები გვხვდება მატიანის უძველეს ფენაში (I ტაბულა), შესაძლებელია ამ ფენის გადაწერის დროს წარჩინებულთა ზოგიერთი მოსახსენებელი გადაადგილდა და მოხვდა დაბალი ფენების მოსახსენებელთა სიაში, ასეთთა შორის იყო ტბელისძეთა მოსახსენებლებიც.

## 5. გვარების წარმოება

„ტბეთის სულთა მატიანეში“ ყველაზე მრავლად წარმოდგენილია **ძე**-ზე დაბოლოებული გვარები, შემდეგ **ეთ**-სა[57] და **შვილ**-ზე. უფრო იშვიათადაა: **ურ**-ი, **ელ**-ი, **ულ**-ი, **ფხე, ნა, ია, ტი, ში, აყი, ისა, ტყი** სუფიქსებით ნაწარმოები გვარები.

ხშირად ერთი და იგივე გვარი სხვადასხვა წარმოებითაა მოცემული, რაც ასახულია წარმოდგენილ ტაბულაში.

შედარებითი ტაბულა გვარების მაწარმოებელთა მიხედვით

| ეთ | ძე | შვილი | ურ-ი, ულ-ი, ელ-ი, აყ-ი, ფხე, ტყ-ი, არ-ი, ათ |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| აბესალამეთ (488) | აბესალამისძე გიორგი (121) | — | აბესალამური, ნიკოლოზ ცივნარისძის მეუღლე (246) |
| — | ახალასძე დავით (356) | — | ახალაური (188) |
| — | ბედინასძე მიქაელი (137) | — | ბედინათ ნიკოლოზ (326) |
| ბუწწელეთ ქალი ნათელი (532) | ბუწწელისძე იოვანე (8) | — | — |
| — | გაბრიჩისძე დავით (134) | — | გაბრჩიული მარინე (542) |
| გათენიეთ გიორგი (272) | გათენასძე გიორგჲ (297) | — | — |
| გიორგაეთ გიორგი (323) | — | — | გიორგაული (265)<br>გიორგული (332) |
| გლირჯაეთ ქალი მართა (569) | გლირჯასძე იორდანე (447) | — | — |
| გოგაბერეთ მიქაელი (324) | გოგაბერისძე იოვანე (20) | — | გოგაბერუილი მარიამი (80) (მოსალოდნელი იყო გოგაბერიული). |
| გოგანეთ ხუცი ნიკოლოზ (193) | გოგანისძე ზაქარია (39) | — | — |

57 ეთ-სუფიქსით გვარების წარმოებაზე იხილეთ: Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX[e] siecle, traduite du ge'orgien par M. Brosset 1-re partie, S. —pt, 1849, p. 381, note 2-e'me ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/თ- სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, ტ. III, თბ., 1959 წ., გვ. 142—155; ვ. დონდუა „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმების გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, საისტორიო ძიებანი, თბ., 1967, გვ. 101—141; ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964; ი. მაისურაძე, ქართველურ გვართა წარმოების ზოგიერთი საკითხი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 23, 1969 წ., გვ. 29—37; მისივე, სპეციალური წარმოების ზოგი ქართული გვარის სტრუქტურისათვის, საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, II, 1974, გვ. 181—189.

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| გოგლაეთ აბაში (239) | გოგალასძე გიორგი (404) | — | — |
| გორგასძიეთ მიქაელი (261) | გორგასძე ჩაუქა (535) | — | გორგაძიათ ჩაუქა (494) |
| გუიანეთ აკრიელი ცხორება (391) | გუიანაძე აბალა (352)<br>გუიანისძე თევდორე (473) | — | გუიანური (378) |
| გუნდარეთ გიორგი (337) | გუნდარისძე გიორგჲ (495) | — | გუნდარი კვირიკე (54) |
| დავლაეთ ცხორება (322, 402) | დავლასძე ივანე (388) | — | — |
| — | — | დვალიშვილი სუნბატ (548) | დვალი ჲოვანე (300) |
| დოლიეთ კუირიკე (544) | დოლისძე აბაშ (355) | — | — |
| — | ერგელისძე (475, 568) | — | ერგელი (134) |
| — | ვანთაშისძე ნიკოლოზ (363) | ვანთშაშვილი ნიკოლოზ (298) | — |
| — | ვერძასძე მახარებელი (109) | — | ვერძაული ცხორება (340) |
| ვაშანეთ ბასილი (472) | ვაშანისძე მიქაელ (59) | — | — |
| ვაცაეთ ნიკოლოზ (15) | ვაცასძე ნიკოლოზ (27, 40) | — | — |
| ზარჭიეთ მგელა (271) | ზარჭისძე იოვანე (63) | — | — |
| თევთიეთ გიორგი (202) | თევთისძე გიორგი (214) | — | თევთიური, მეუღლე იოვანე კვრიკაეთისა (266) |
| კაკალეთ იოვანე (582) | კაკალისძე მიქაელ (5) | — | — |
| კანჯარეთ კონა (227) | კანჯარასძე გიორგი (335) | — | — |
| — | კიბელისძე კვრიკე (170) | — | კიბელი, ბასილი მორთულაყის მეუღლე (213) |
| — | კირკიტისძე იოვანე (219) | — | კირკიტული ნათელი (156) |
| კორტიზეთ მიქაელი (439) | კორტანელისძე პაპა (457) | — | — |
| კვრიკაეთ იოვანე (266) | კუირიკასძე აფთარისი (118) | — | — |
| მეფუტკრიეთ ივანე (126) | მეფუტკრისძე გუგუნა (523) | — | — |
| — | მიქლასძე ზაქარია (527) | — | მიქლაური გუანცა (540) |
| — | მორთულასძე დავით (364) | — | მორთულაყი ბასილი (213) |
| — | ნიკოლასძე გიორგი (325) | — | ნიკოლაფხეშვილი გოგა (52) |
| როსტომეთ კვრიკე (122) | როსტომისძე გიორგი (77) | — | — |
| სამოელეთ გიორგი (221) | სამოელისძე იოვანე (289) | — | — |
| სიკალაეთ დავით (232) | — | — | სიკალაური (412) |
| სიმურტანეთ ნებიერი (265) | სიმურტანისძე იოვანე (57) | — | — |
| — | სინდასძე ნავროზ (546) | — | სინდაელი, იოვანე ბუწნელისძის მეუღლე (8) |
| ფარაჯეთ გრიგოლ (295) | ფარაჯისძე ბეშქენ (115) | — | — |
| — | ფიბოტისძე გიორგი (503) | ფიბოტიშვილი ესაია 83 | — |
| — | ფოთელისძე გიორგჲ (464) | — | ფოთელული, გიორგი ნიკოლასძის მეუღლე (325) |
| ფხიკაეთ იოვანე (366) | ფხიკასძე ბასილი (211) | ფხიკაშვილი გიორგი (75) | — |
| — | ქოქოლისძე გიორგი (583) | — | ქოქოლაური მარიამი (350) |
| ქუაბელეთ ივანე (48) | ქუაბულისძე შავთელი (424 | — | ქუაბელური ნათელი, ივანე გორგასძიეთის მეუღლე (262)<br>ქუაბელი (48) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| ქუნთელეთ ლომაძ (225) | ქუნთელასძე გიორგი (234) | — | — |
| ღურჯაეთ გაზრდილი ჩიჩქინა (153) | ღურჯასძე დავით (149) | — | — |
| — | შავჩიტისძე ნიკოლოზ (12) | — | შავჩიტყი ნიკოლოზ (166) |
| შალვაეთ ბალავარი (374) | შალვასძე იოვანე (445) | — | — |
| — | ჩიკუტისძე დოდია (500) | — | ჩიკოტური, გიორგძ გუნდარისძის მეუღლე (495) |
| — | ჩიტისძე ბასილი (438) | ჩიტასშვილი იორდანე (482) | — |
| ცანდაეთ ზებედა (244) | ცანდასძე ზაქარია (228) | — | — |
| — | — | წანგრისშვილი იოვანე (269) | წანგარი გიორგი (398) |
| წითელაეთ გიორგი (372) | წითელბერისძე იოვანე (13) | — | — |
| ჭაკუნთელაეთ თევდორე (200) | ჭაკუნტელასძე მახარებელი (407) | — | — |
| — | ხინკილასძე დემეტრე (45) | — | ხინკილაური, მეუღლე მიქაელ გოგაბერეთისა (324) |
| ჯარდენეთ დემეტრე 381 | ჯარდენისძე ბასილი თერნაეთისა 139 | — | — |
| ჯეჯელაეთ 189 | ჯეჯელისძე იოვანე 282 | — | — |
| — | ჯოისძე გიორგი 436 | — | ჯოიური ნათელი, დემეტრე გაბროჩისძის მეუღლე (559) |
| | | | ჯოოური, მახარებელი ოქტასშვილის მეუღლე (470) |

წარმოდგენილ გვარებში არც ერთი ქალის გვარი არ ბოლოვდება **ძე**-სა და შვილზე (იხ. აქვე საძიებლები).

ძეგლში მოხსენებული **ეთ**-ზე დაბოლოებული 109 გვარიდან 97 მამაკაცის გვარია, დანარჩენი 12 კი შემდეგნაირად ნაწილდება: აბესალამეთ **სძალი** ჩიჭუნელისი (488), კორტიზეთ **სძალი** ხათუთა (439). ამ ორ შემთხვევაშიც **ეთ**-ზე დაბოლოებულ გვარებში აბესალამეთ და კორტიზეთში მამაკაცის გვარი იგულისხმება. ექვსი მაგალითი ასეთია: „ბრევაეთ **ქალი** მარიამი“ (327), „ბუწნელეთ **ქალი** ნათელი“ (532), „გლირჯაეთ **ქალი** მართა“ (569), „გიორგაეთ **ქალი** ცხორება“ (433), „კანჯარეთ **ქალი** მარიამი“ (448) და „ქუნთელეთ **ქალი**...“ (414). აქაც, ქალების — მარიამის, ნათელის და სხვათა გვარებში (ბრევაეთ, ბუწნელეთ და ა. შ.) მამის გვარი იგულისხმება.

ამრიგად, 109 **ეთ**-ზე დაბოლოებული გვარიდან მხოლოდ 4 გვარია ქალის. ესენია: გუნდარეთ ბორენა (367), კადიეთ მარიამი (67), დავლაეთ ცხორება (402) და ჯარდენეთ მარიამი (232).

მოყვანილი მაგალითებით ნათელია, რომ ქალისა და მამაკაცის გვარები თავისი წარმოებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ნაწილაკები **ძე, შვილი** და, უმცირესი გამონაკლისით, **ეთ**-ი აწარმოებს მამაკაცის გვარებს. **ურ** და **ულ** აწარმოებენ მხოლოდ ქალის სახელებსა და გვარებს. **ფხე** კი — მხოლოდ ქალის გვარებს. აქვე გვაქვს იშვიათი შემთხვევა, როცა **ფხე**-ზე დაბოლოებულ გვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს ემატება **შვილი**-ც და ვიღებთ ორი ფორმანტით წარმოებულ გვარს. ესენია: ნიკოლა-**ფხე-შვილი** გოგა (52), ნიკოლა-**ფხე-შვილი** ცისკარა (536), ნიკოლა-**ფხე-შვილი** ლაზარე (537).

როგორც ვხედავთ, მაწარმოებელი **ფხე-შვილი**-თ მხოლოდ მამაკაცის გვარებია დაბოლოებული.

ნაწილაკი **ელ** აწარმოებს როგორც ქალის, ისე მამაკაცის გვარ-სახელებს ადგილის სახელწოდებიდან. ასე, მაგ.: აკრია — აკრი-ელი (7), აფხაზეთა — აფხაზ-ელი (562), კიბე — კიბ-ელი (213) და სხვ.

ძეგლისეულ გვარებში **ულ** და **ურ** მაწარმოებლებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოებია მხოლოდ ქალის გვარები და სახელები. ეს გვარები მიღებულია მამაკაცის სახელებიდან ან გვარებიდან. ხშირად მამაკაცის ერთი და იგივე სახელიდან იწარმოება მამაკაცის გვარიც — **ძე** ან **ეთ**-ის საშუალებით და ქალის გვარიც — **ურ, ულ** და **ფხე** მაწარმოებელით, მაგალითად:

| მამაკაცის სახელები | მამაკაცის გვარები | ქალის გვარ-სახელები |
|---|---|---|
| გაბრიჩი | გაბრიჩის-ძე 134 | გაბრჩი-ული მარინე (542) |
| ვერძა | ვერძას-ძე 109 | ვერძა-ული ცხორება (340) |
| თევთი | თევთის-ძე (214)<br>თევთი-ეთი (202) | თევთი-ური (266) |
| კირკიტი | კირკიტის-ძე (219) | კირკიტ-ული ნათელი (156) |
| მიქელა | მიქლას-ძე (527) | მიქლა-ური გუანცა (540) |
| ფოთელი | ფოთელის-ძე (464) | ფოთელ-ული (325) |
| ქოქოლი | ქოქოლის-ძე (583) | ქოქოლა-ური მარიამ (350) |
| ქუაბელი | ქუაბულის-ძე (424) | ქუაბელ-ური ნათელა (262) |
| ჩიკუტი | ჩიკუტის-ძე (500) | ჩიკოტ-ური (495) |
| ჯოი | ჯოის-ძე (436) | ჯოი-ური ნათელი (559) |
| აბესალამი | აბესალამის-ძე (121) | აბესალამ-ური (246) |
| ახალა (224, 392) | ახალას-ძე (356) | ახალა-ური (188) |
| გუიანა (234) | გუიანა-ძე (352)<br>გუიანის-ძე (473)<br>გუიან-ეთი (391) | გუიან-ური (378) |
| გიორგი (4, 17) | გიორგა-ეთი (323) | გიორგა-ული (265)<br>გიორგ-ული (332) |
| ხინკილა (51) | ხინკილას-ძე (45) | ხინკილა-ური (324) |

დამახასიათებელია ერთი მაგალითი, როდესაც გეოგრაფიული სახელიდან ნაწარმოებია ქალის გვარი **-ულ**-ის, ხოლო კაცის გვარი **-ელ**-ის საშუალებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მიქლაცუარი | მიქლაცუარ-**ელი** ახალაი (392) | მიქლაცუარ-**ული** მარიამი (235) |
|---|---|---|

აღნიშნულ ქალთა გვარების ნაწილი, ნაწარმოები **ურ** და **ულ** ბოლოსართებით, ჩვენი ვარაუდით, წარმომდგარი უნდა იყოს მამაკაცის სახელიდან, მაგ., გაბრჩიული გაბრიჩი-დან. ნაწილი კი მიუთითებს ამ ქალის კუთვნილებაზე იმავე ფუძიდან ნაწარმოებ მამაკაცის გვარისადმი. მაგალითად, შესაძლოა იგივე გაბრჩი-ული, გაბრიჩი-დან წარმომდგარი გვარი კი არ იყოს, არამედ აღნიშნავდეს, რომ გაბრჩ-იული მარინე (542) ეკუთვნის გაბრიჩის-ძეთა (134) გვარს, ან ვერძა-ული ცხორება (340) — ვერძას-ძეთა (109) გვარს და ა. შ.

შედარებით ტაბულის მესამე სვეტში მოვათავსეთ **ურ** და **ულ**-ით ნაწარმოები როგორც გვარები, ისე სახელები ქალისა. იმ შემთხვევაში, როცა **ურ**, ან **ულ** ფორმანტით ნაწარმოებ სიტყვას არ ახლავს ქალის სხვა წარმოების სახელი, ეს სიტყვა მიჩნეულია ქალის სახელად, მაგალითად: ახალაური (188), გუიანური (378) და სხვა. გვარად მივიჩნიეთ აღნიშნული დაბოლოებით ნაწარმოები სახელები იმ შემთხვევაში, როცა მას უკავშირდება ქალის სახელი, მაგალითად: ქოქოლაური მარიამ (350), ჯოიური ნათელი (559) და სხვა. შესაძლოა გვეფიქრა, რომ პირველ შემთხვევაშიც **-ურ** და **-ულ** ნაწილაკით ნაწარმოებია ქალის გვარი და არა სახელი, რომ „ახალაური“, ან „გუიანური“ სახელები კი არაა, არამედ — გვარები, ამ ქალთა ქალიშვილობის გვარები. მაგრამ, ძეგლში არის ერთი მაგალითი, როდესაც ნათლად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში **ურ**-ით ნაწარმოებია ქალის სახელი და არა გვარი. ერთ-ერთ მოსახსენებელში დასახელებულია მიქაელ ღურჯასძისა და მისი მეუღლის ნათელის შვილი ცაცაური (136). ცხადია, ამ შემთხვევაში არ შეიძლება ცაცაური გვარი იყოს, რადგანაც ცაცაური შვილია ღურჯასძისა, ქმარი მას არ ჰყავს. მაშასადამე, მისი გვარიც შეიძლება იყოს მხოლოდ ღურჯა-**ური** და არა ცაცაური. ცაცაური აქ ქალის სახელია. ამ მაგალითის საფუძველზე შეიძლება დავუშვათ, რომ გიორგაული (265), აბესალამური (246), გუიანური (378), ახალაური (188), ხინკილაური (324) და სხვა, რომლებსაც არ ახლავთ სახელის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები, ქალის სახელებია და არა გვარები. საერთოდ, ქართულ ონომასტიკონში არაერთია იმის მაგალითი, როდესაც ერთი და იგივე სიტყვით აღინიშნება როგორც გვარი, ისე სახელი.

ცალკე დავაჯგუფე მამაკაცთა და ქალთა სახელებიც. ზოგჯერ კონტექსტი არ იძლეოდა ქალისა და მამაკაცის სახელის გამიჯვნის საშუალებას. ასეთებია: გუიანა, კუერნა, მაჲსა, მშუჲდა, უთნევარი და ყურსალა, რადგან ყველა ამ სახელით გადმოცემული გვარი ძე-ზე მთავრდება, გავითვალისწინე რა ზემოაღნიშნული დაკვირვება, რომ ძეგლში არცერთი ქალის სახელი არ არის ძე-ზე დაბოლოებულ გვარებში, ისინი მამაკაცთა სახელების ჯგუფში შევიტანე. მამაკაცთა სახელებში შევიტანე, აგრეთვე, სავარაუდოდ: მანჩხა, ქუაბელი, პატარა და ცინცხალა.

ამ უკანასკნელ საკითხს ყურადღებას აქცევს ი. სიხარულიძეც. მას ზემოდასახელებულ წერილში სულთა მატიანის ტექსტიდან მოაქვს მაგალითები როგორც მამაკაცთა, ისე „მაჭახელელ ქალთა“ სახელებისა და გვარებისა. კვლევის ამ ნაწილში ი. სიხარულიძეს აქვს არაზუსტი წაკითხვები, რომელთა აღნიშვნა აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ხელნაწერშია: | დაბეჭდილია: |
|---|---|
| ნათელი | ნათელა |
| არსენი | არსენა |
| ოგმეფისძე | მეფისძე |
| აბაბიძე | აბაშიძე |
| ოქოტასშვილი | ოქტოშვილი |
| ცივნარისძე | ციფნარისძე |
| წინწკელასძე | წინველასძე და სხვ. |

ამას გარდა, ი. სიხარულიძის წერილში დასახელებულია ისეთი სახელები და გვარები, რომლებიც ხელნაწერის ტექსტში საერთოდ არ გვხვდება. ასეთებია: ბათუთა, ბურია, ნინო, გიგლა, იესე, ლოდია, მინა, ოქრო (ალბათ „კაციოქროს“ მაგივრად), ანჯაფარისძე, ორიეთ, ფანაჯეთ, დავითისშვილი, მთისშვილი (როგორც ჩანს, „მათის შვილის“ ნაცვლად), ხალერისძე და სხვ. აქვე მამაკაცის სახელი ნანა ქალთა სახელების სიაში შეცდომითაა შეტანილი. ეს სახელი მატიანის ტექსტში ხუთჯერ გვხვდება და მათი კონტექსტში განხილვა [ნანა ახალასძე, რომლის მეუღლეა რუსუდანი (84), ნანა დავითისძე, რომლის მეუღლეა ხუარა'მანი (516); მარტანეთ ნანა, რომლის მეუღლეა ხორეშანი (66); ნანა ჭაღუმელისძე, რომლის მეუღლეა ნათელი (552) და ნანა ჯოისძე, რომლის მეუღლეა აკრიელი (7)] ეჭვგარეშე ნათელყოფს, რომ ის მამაკაცის სახელია.

მცდარ წაკითხვაზეა დამყარებული ი. სიხარულიძის ზოგიერთი მსჯელობაც. იგი წერს: „ფხე“ ქალის გვარ-სახელის ჭანური (ლაზური) ფორმანტია, ვარიანტი მეგრული „ხე“-სი. „ხე“-ანი წარმოება ამ ძეგლში ერთხელ გვხვდება მხოლოდ. აი, ისიც: „ს(უ)ლსა მ ე ლ ა ს ძ ი ს ა მარუშინისსა ბერახე ც(ა)ხორებას და მისსა შვილს გი(ორგის)ს შე[უნდვენ ღმერთმა]ნ“[58].

ნამდვილად კი ტექსტი ასე იკითხება: „ს(უ)ლსა ბ ე რ ნ ა ს ძ ი ს ა გ(იორგ)ის(ა)სა და მისა მეუღლესა აფხაზელსა შ(ეუნდვე)ნ, ღ(მერთმა)ნ. ს(უ)ლსა მათისა ძისა მარუში«ა»ნისის«ა»სა შ(ეუნდვე)ნ ღმერთმან. შერაფ<ა>ხე ც<ა>ხორებ«ა»ს და მის შ<ა>ვილს გ(იორგ)ჲს“ (562—563).

ვფიქრობთ, ნათელია, რომ აქ საქმე გვაქვს გვარის **ფხე** მაწარმოებელთან და არა მის მეგრულ **ხე** ვარიანტთან.

როგორც სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ნოდარ კახიძე, მატიანისეული გვარების დიდმა ნაწილმა დღევანდლამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია. მაჭახლის ხეობის საბჭოთა ზონის სოფლებში დღესაც ცხოვრობენ: აბესალამიძე, აბაშიძე, კოპლაძე, მორთულაძე, ქოქოლაძე, ხინკილაძე, ჯიგანაძე, თევთიძეები (ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ჭარნალში), მალაყმაძე, ქავთარაძე, კახაბერიძე, ლასტაკანიძე, ფოთელიძე, შუშანიძე (ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კირნათში), ბალაძე, გათენაძე, დავითაძე, დოლიძე და სხვ. მრავალი[59].

ამგვარად, ტბეთის სულთა მატიანის ძეგლში დასახელებულმა რიგმა გვარსახელებმა და (როგორც ქვემოთ დავინახავთ) ტოპონიმებმა საუკუნეებს გაუძლეს და დღესაც „მოქმედ“ გვარებად და ტოპონიმებად გვევლინებიან.

---

58 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

59 ნ. კ ა ხ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 10—12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6. ცნობები ისტორიულ გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის შესახებ

„ტბეთის სულთა მატიანის“ ტექსტში გეოგრაფიული სახელები გვხვდება ორი ფორმით: 1. დასახელებულია უშუალოდ ტოპონიმი, 2. ძეგლში მოხსენიებულ გვარებში და პირთა სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვებში ასახული ტოპონიმები.

ძეგლში მოხსენიებული ტოპონიმები:

ზ ე დ ვ ა კ ე: „ყოველთა ზ ე დ ვ ა კ ი თ შემომწირველთა...“ (32);
ა ფ ხ ა ზ ე თ ა: „ყოველთა ა ფ ხ ა ზ ე თ ა თ შემომწირველთა...“ (124);
ე ვ ფ რ ა ტ ი: „ყოველთა ე ვ ფ რ ა ტ ი თ შემომწირველთა...“ (181);
ჩ ი ქ უ ნ ე თ ი: „ყოველთა ჩ ი ქ უ ნ ე თ ი თ შემომწირველთა...“ (46);
ჩ ხ უ ტ უ ნ ე თ ი: „ყოველთა ჩ ხ უ ტ უ ნ ე თ ი თ შემომწირველთა...“ (119);
ჯ ე რ თ ვ ი ს ი: „ყოველთა ჯ ე რ თ ვ ი ს ი თ შემომწირველთა...“ (186);
ქ ა ლ ა ქ ი: „თევთისძესა, რომე ქ ა ლ ა ქ ს მოკუდა, გიორგის შეუნდვენ ღმერთმან“ (214).

ყველა ზემოჩამოთვლილი პუნქტები მატიანის ძირითად ფენაშია, (იხ. I ტაბულა); დაწერილია სინგურით. ერთი ტოპონიმი კი დასახელებულია შემდეგდროინდელ XVI ს-ის მინაწერში (ტაბ. V).

ს ი ს ო ე თ ი: „სულსა ილარიონ ს ი ს ო ე თ ი ს ა წინამძღუარისას შეუნდვენ ღმერთმან“ (547).

ძეგლში მოხსენიებულ გვარებში და პირთა სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვებში ასახული ტოპონიმები:

ა კ რ ი ა: „...ჯოისძის ნანასასა და მისისა მეუღლესა ა კ რ ი ე ლ ი ს ა შეუნდვენ ღმერთმან“ (7);
ბ ზ ა თ ი: „...ბ ზ ა თ ე ლ ი ს ა თათასძესა გიორგის... შეუნდვენ ღმერთმან“ (426);
დ ა ბ ა: „...დ ა ბ ე ლ ი ს ა ჩიმაგასძისა ივანეს შეუნდვენ ღმერთმან“ (578);
ე რ გ ე: „...ე რ გ ე ლ ი ს ძ ი ს ა ნიკოლოზისა... შეუნდვენ ღმერთმან“ (568);
ზ ე ნ დ ი დ-ი: „...გ ჲ ორგასძის ზ ე ნ დ ი დ ე ლ ი ს პაპასას... შეუნდვენ ღმერთმან“ (309);
კ ი ლ ნ ა თ ი: „სულსა კ ი ლ ნ ა თ ე ლ ი ს ა თათნასძისა მიქაელის შეუნდვენ ღმერთმან“ (581);
ო ი ლ ა უ რ ი || ო ღ ლ ა უ რ ი „სულსა სირაეთ გიორგისასა და მისისა მეუღლისა ო ღ ლ ა უ რ ე ლ ი ს ა ს ა შეუნდვენ ღმერთმან“ (370); „სულსა ო ი ლ ა უ რ ე ლ ი ს ა სეხნიასასა შეუნდვენ ღმერთმან“ (176);
ს მ ა დ ა: „სულსა ს მ ა დ ე ლ ი ს ა ვაცასძისა ნიკოლოზისა შეუნდვენ ღმერთმან“ (27);
ხ ე ბ ა, ქ უ ა ბ ი: „სულსა ქუაბელეთ ივანესასა და... ქუაბელისასა და... მისისა მეუღლისა ხ ე ბ ე ლ ი ს ა“ (48);
ძ ა ხ მ ა ტ ი: „სულსა ძ ა ხ მ ა ტ ე ლ ი ს ა მჭედლისძისა მიქაელისასა... შეუნდვენ ღმერთმან“ (319);
ჯ ო ჭ ო: „სულსა ჯ ო ჭ ო ე ლ ი ს ა ჭანისძისა გრიგოლისა... შეუნდვენ ღმერთმან“ (485).

ტბეთის სულთა მატიანეში მოხსენიებული გეოგრაფიული ადგილების დიდი ნაწილი მაჭახლის ხეობაში მდებარეობს. ამჟამად ეს ხეობა ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი, წოდებული ზედა მაჭახელად, მოქცეულია თურქეთის ფარგლებში. მასში შედის სოფლები: ხერთვისი (იგივე ზედა ხერთვისი),

აკრია, სინდიეთი, ზედვაკე, ევფრატი. ხეობის მეორე ნაწილი — ქვედა მაჭახელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრებშია და მასში შედის მატიანეში დასახელებული სოფლებიდან: ჩხუტუნეთი (ზედა და ქვედა), ჩიქუნეთი, კიბე, კილნათი || კირნათი, ოილაური || ოღლაური და ჯოჯო.

ძეგლში მოხსენიებული ტოპონიმების ლოკალიზაცია ასეთ სურათს იძლევა:

